პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 პარასკევი 23 იანვარი № 19 (16449) ფასი 2 კაპ. 1976

გუშინ მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ

დელეგატებმა უშრადღებით მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში

ყრილობა მუშაობას განაგრძობს



თბილისი. 1976 წლის 22 იანვარი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა.

ო. თურქიასა და ბ. კიკვიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა

22 იანვარს მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ.

დილის 9 საათი და 30 წუთია. სახელმწიფო ფილარმონიის დიდ ბაკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის კომუნისტთა 318-ათასიანი რაზმის — ქართველი ხალხის მებრძოლი ავანგარდის საუკეთესო წარმომადგენლები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა გახსნილად გამოაცხადა.

არჩევენ ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოებს.

ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები. ბ. ბ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, ბ. ზ. ბარსუკოვი, შ. ზ. ბერიანიძე, ვ. ვ. ბოდოკოვი, ბ. ბ. გამცემლიძე, მ. ნ. გვიშიანი, ბ. ბ. გეგეშიძე, ა. დ. გიორგაძე, რ. მ. გიორგაძე, ბ. ბ. გილაშვილი, ბ. ტ. გოგოლაძე, ბ. ნ. გოგოლაძე, თ. ა. დაღელაშვილი, შ. მ. ეცადაშვილი, ვ. ი. ვადაბაკორია, ო. ბ. ვარძელაშვილი, ვ. ვ. ვასილიევი, ნ. ბ. ვაშაძე, ი. ნ. ვეკუა, ლ. ა. ზემლიანიკოვა, ა. დ. ზურაბაშვილი, ო. ვ. თაბუთაძეშვილი, ი. თ. თოდუა, ო. მ. ივანიშვილი, ა. ნ. ინაური, ა. ი. კაკბაძე, ბ. ე. კეთილაძე, ნ. ი. კიკვიძე, შ. დ. კიკნაძე, ა. ა. კობახიძე, ვ. ი. კობახიძე, ბ. ვ. კოლბინი, რ. ვ. კონდელიძე, ბ. ნ. კუტანიძე, თ. ვ. ლაშარაშვილი, მ. მ. ლელაშვილი, ბ. თ. ლობჟანიძე, ბ. ი. ლოლაძე, ბ. ვ. ლომთათიძე, ე. ნ. მალაზონია, ვ. ი. მარდანოვი, ნ. ა. მეძმარიაშვილი, ო. ვ. მელქაძე, ბ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ა. ო. მოსესიანი, თ. ი. ბოსაშვილი, ა. მ. ოვერჩუკი, ვ. რ. პაპუნიძე, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. მ. რამბანი, ნ. დ. რუსაძე, ა. ბ. საუბარელიძე, შ. ს. სანაკოევი, ბ. ე. სარალიძე, ბ. ს. სეთურიძე, ე. ა. სეხნიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ტ. მ. ტანრიკერდიევა, ვ. ბ. ტოლკუნოვი, ბ. ს. ფიცხელავა, ბ. ი. ქადაგიძე, ი. ი. ქედიშვილი, შ. ვ. უყრუყარაშვილი, ფ. ა. შარტავა, ე. ა. შევარდნაძე, ნ. ბ. ჩერქეზიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ლ. ტ. ჩხაიძე, ზ. ა. ჩხეიძე, რ. დ. ჩხეიძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე, ნ. ა. ციმანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, მ. ი. ხალდეები, ი. ა. ხარაბიშვილი, ვ. ი. ხარებავა, ი. რ. ხვედელიანი, თ. ი. ხელაშვილი, ვ. მ. ხინთბა, ს. დ. ხიტროვი, ბ. დ. ჯაბანიშვილი, ე. მ. ჯაფარიძე, ი. ა. ჯაში.

სამდივნოს შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები თ. ა. ბუაჩიძე, ზ. ა. კვაშაძე, მ. შ. მაჭარბოვი, ბ. ა. მერკვილაძე, ბ. ბ. ნაბაუბია, ნ. დ. სინჯიაშვილი, ბ. ს. ფხაკაძე, ო. შ. ქაჯაია, ა. ა. ჩოხელი, შ. დ. ცაბარეიშვილი, ბ. მ. ხუციშვილი.

სარედაქციო კომისიაში აირჩიეს ამხანაგები ე. ა. ალექსანდროვი, ბ. ვ. ბედნიერიშვილი, ი. ბ. ბაძრეკელი, ა. ა. ბარდაფხაძე, თ. ი. კაბულოვა, ბ. ი. ლებანიძე, ბ. დ. მგელაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, ბ. ვ. ჟორჟოლიანი, ო. დ. ქინქლაძე, ბ. ე. ჩიგოგიძე.

სამანდატო კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები ზ. ბ. ბელდიაშვილი, ნ. ვ. ბურბენიძე, დ. დ. დიასამიძე, კ. მ. ილურიძე, ა. ა. ივანჩიშინი, თ. შ. იმედაძე, ბ. რ. კვარაცხელია, ა. მ. ლაბახუა, მ. ა. მეგრელიშვილი, მ. ა. მეზვრიშვილი, ო. ი. მენაბდე, ი. დ. უბილავა, ჯ. ა. ფარციხალაშვილი, ბ. ვ. შინკუბა, შ. ი. ჯალაბანიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, რ. ა. ჯაფარიძე.

ტრიბუნაზეა თბილისის ფოლადთუჯამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი ბ. ნ. კუტანიძე. იგი წინადადებას აძლევს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიონ ხაბეოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ყრილობის დელეგატებმა აღფრთოვანებით, მუხლარეტაზის გრიალში ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში — მომხსენებელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ბ. ს. ფირცხალავა.

3. პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი" და მეცხრე ხუთწლეულში საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ამოცანები — მომხსენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარიძე.

4. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

5. სკკპ XXV ყრილობის დელეგატების არჩევნები.

მტკიცდება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

თავმჯდომარე ამხ. ბ. ვ. კოლბინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ს. ფირცხალავამ.

შეხვედრების შემდეგ დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის სანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

თავმჯდომარეობს ამხ. ზ. ა. პატარიძე. ქამაში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მ. ხინთბა, ბორის ბამბეულის კომბინატის მუშა ამხ. თ. ა. დაღელაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ამხ. ე. ა. ხარაძე, საქართველოს კომპარტიის ხიდნაღის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. ი. ძარუმიძე, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ო. ვ. მელქაძე, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ა. კოჩოიანი.

სხდომა გრძელდება. თავმჯდომარე ამხ. პ. ბ. ბილაშვილი სიტყვას აძლევს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. ბ. ბ. აბაშიძეს. შემდეგ გამოდის ამერიკაკახეთის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ამხ. პ. ბ. მელნიკოვი.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ს. ე. ხაბეიშვილმა.

დაამტკიცეს სამანდატო კომისიის მოხსენება.

შემოდის წინადადება რომ აირჩიონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო რეზოლუციის შემმუშავებელი კომისია.

არჩევენ კომისიის შემადგენლობას.

შემდეგ განახლდა ქამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. რ. კაკუნიძე, თბილისის 29-ე საშუალო სკოლის პედაგოგი ამხ. ბ. ი. ლეფავა.

ყრილობის დელეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის სახელზე მიღებულია უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშები.

ყრილობამ მიიღო გადწყვეტილება გაგზავნოს საპასუხო დეპეშები.

ამით დამთავრდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მუშაობის პირველი დღე. (საქინფორმი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება 1976 წლის 22 იანვარს

ამხანაგებო!

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები გამოგზავნეს დელეგატებად საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე, რომელსაც დღეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი განვლილი ხუთი წლის პოლიტიკურ ანგარიშს აბარებს.

ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის **საგარეო პოლიტიკამ**, ბრძნულმა პოლიტიკურმა კურსმა უზრუნველყო სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეების გამარჯვება; როცა კიდევ უფრო განმტკიცდა ერთა სოციალისტური თანამეგობრობა და ახალ წარმატებებს მიაღწია მსოფლიოს მუშათა და კომუნისტურმა მოძრაობამ; როცა **საშინაო პოლიტიკა** უზრუნველყოფს საბჭოთა საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას, რაც ერთხელ კიდევ დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმმა, რომელმაც მეცხრე ხუთწლედი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში საუკეთესო ხუთწლედად ცნო. ეს სრულ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა სკკპ XXIV ყრილობის შემდგომ პერიოდში უღრესად მდიდარი იყო შინაარსით და ნაყოფიერი — შედეგებით.

ჩვენი რესპუბლიკისათვის განვლილი ხუთი წელი **პოლიტიკური ასპექტით** ნიშნავდა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა თანმიმდევრულ განხორციელებას. ამ დროის მანძილზე საქართველოში განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ვითარდებოდა დემოკრატია, ახალი ძალით იჩინა თავი ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეებს, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გამარჯვებამ. საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობა, ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკავშირება. ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი ჯერ არასოდეს არ ყოფილან ისე მონოლითური, ისე უძლეველნი, როგორც დღეს არიან.

ეკონომიკური ასპექტით ყრილობიდან ყრილობამდე განვლილი პერიოდი აღინიშნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებით, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების, ეკონომიკურ პოტენციალში საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონის ზრდით.

მაგრამ, მეცხრე ხუთწლედში საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ეტაპი:

პირველი — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღებამდე;

მეორე — ამ დადგენილების მიღების შემდეგ.

პირველ ეტაპზე **პოლიტიკური ასპექტით** ერთგვარი გადაბალანსება იყო დემოკრატიული ცენტრალიზმის ცალკეული პრინციპებიდან, ჯეროვნად არ ფასდებოდა კრიტიკა და თვითკრიტიკა; ბევრი ხელმძღვანელის პოლიტიკური სახე, მათი პრაქტიკული საქმიანობა, ყოველთვის როდი შეესაბამებოდა თანამედროვე მოთხოვნებს, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს. **ეკონომიკური ასპექტით** ამ პერიოდს ახასიათებდა საერთო-საკავშირო მაჩვენებლებისგან ჩამორჩენის გაღრმავების ტენდენცია, წარმოების ტემპის შენელება, მეურნეობრიობის თვისებრივი მაჩვენებლების გაუარესება, სუბიექტივიზმის ელემენტები.

საანგარიშო პერიოდის **მეორე ეტაპზე** საქართველოს კომპარტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გადაჭრით განამტკიცებდა პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, სოციალისტურ დემოკრატიას, ყოველნაირად იღვწოდა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის. **ეკონომიკური ასპექტით** ამ პერიოდს ახასიათებს წარმოების ტემპის მნიშვნელოვანი ზრდა, რესპუბლიკურ და საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს შორის განსხვავების შემცირება, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების თვისებრივი ფაქტორების გაუმჯობესება.

განვლილი ხუთწლეული **სოციალური ასპექტით** ნიშნავდა რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. საგრძნობლად ამაღლდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის პროფესიულ-ტექნიკური მომზადება, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა გონებრივ და ფიზიკურ შრომას, ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების დაძლევის გზაზე.

სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონების საფუძველზე შეკავშეავეთ მეცხრე ხუთწლედის ძირითადი ამოცანის — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში დაწყებული ჩამორჩენის დაძლევის მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური ღონისძიებები. ამ მხრივაც ბევრის გაკეთება შევძელით, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი.

ასეთია, ამხანაგებო, სქემატურად, ძირითადი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ასპექტები, რომლებიც ასახავს საანგარიშო პერიოდის მთავარ ნიშნებს, ჩვენი მუშაობის მთავარ ტენდენციებსა და მიმართულებებს.

ღღეს ამ მაღალი ტრიბუნიდან ამაყად ვაცხადებთ, რომ ხუთწლედი შევასრულეთ! ჩვენმა ხალხმა, კომუნისტებმა, კომკავშირელებმა შეძლეს უმაგალითო გმირობა გამოეჩინათ, შეუძლებელი შესაძლებლად ექციათ. საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, ჩვენმა ხალხმა ყველაფერი იღონეს, რათა ღირსეულად წარდგნენ ლენინური პარტიის XXV ყრილობის წინაშე, მთელი ჩვენი ქვეყნის კომუნისტების რიგეულთა წინაშე.

ჩვენ გამაყობთ იმით, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით დაჯილდოვდა, რომ ორჯერ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა —

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

(გაგრძელება)

1973 და 1974 წლების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებისათვის.

პირველი, რაც დღეს უნდა გაკეთდეს ჩვენმა ყრილობამ, ის არის, რომ სულითა და გულით უძღვნა მადლობა მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, ჩვენს სახელოვან ქალებს, ახალგაზრდობას, მთელ რესპუბლიკას თავდადებული ძმაბიჭი შრომისათვის, პარტიისა და ქვეყნის წინაშე წმიდათაწმიდა პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობის ღრმა შეგნებისათვის.

ჩვენმა ყრილობამ დიდი მადლიერების სიტყვები უნდა მოახსენოს საკავშირო მთავრობას, ყველა საკავშირო სამინისტროსა და უწყებას, მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, ყველა რესპუბლიკასა და ოლქს, მათს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომელთა ეჭიფური მხარდაჭერითა და დახმარებით შეძლეს საქართველოს მშრომელებმა ურთულეს პირობებში მიეღწიათ მეცხრე ხუთწლედის მიზნებისათვის.

სწორედ ეს გახლავთ, ამხანაგებო, ჩვენი საბჭოთა ინტერნაციონალიზმის ბეშმარიტი გამოჩენების დემონსტრაცია!

იმ მითითებების და დებულებების განუხრელმა შესრულებამ, რომლებიც მოცემულია ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, თბილისში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50-ე წლისთავის ზეიმისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოებაზე რომ წარმოთქვა, ცალკეული კოლექტივებისადმი, მოწინავეებისა და ნოვატორებისადმი მისმა გულთბილმა, გულთბილმა მისალმებებმა — ყოველივე ამან ბევრად განსაზღვრა ჩვენი საბოლოო შედეგები.

რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის მიმდინარე პროცესების შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. პ. კირილენკოს გამოსვლას ხალხთა მეგობრობის ორდენით რესპუბლიკის დაჯილდოების გამო.

საქართველოს კომუნისტები, რომლებიც ძლევენ ნაკლოვანებებს, ებრძვიან პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების შემდგომი განვითარებისათვის, ხაზგასმით აღნიშნავენ ამ განსაკუთრებულ როლს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა, პარტიის ისტორიულმა XXIII და XXIV ყრილობებმა შეასრულა ჩვენს პარტიასა და ქვეყანაში პრობლემებისა და მოვლენებისადმი ჭეშმარიტად ლენინური მიდგომის ატმოსფეროს, შემოქმედებისა და ინიციატივის, ჰუმანურობისა და მკაცრი მომთხოვნელობის. დისციპლინისა და ორგანიზებულობის ატმოსფეროს დამყარების საქმეში.

ჩვენ განსაკუთრებული მადლიერებითა და კმაყოფილებით აღვნიშნავთ ამ გადამწყვეტ როლს, რომელსაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროა და პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი ასრულებენ მშვიდობისათვის საერთაშორისო ასპარეზზე, ეშმაკრიტად ზოგადსაკაცობრიო ბრძოლაში.

სწორედ ასეთ და მხოლოდ ასეთ ატმოსფეროში შეიძლებოდა შობილიყო ყოველივე შემოქმედებითი, ცოცხალი და საინტერესო, რაც კი რამ არის საქართველოს კომუნისტთა საქმიანობა: სწორედ ასეთ ატმოსფეროში იყო შესაძლებელი ყოველი ჩვენი წინაგადადგმული ნაბიჯი, სწორედ ამგვარი ატმოსფერო იყო ჩვენი მუშაობის მთელი სტრატეგიისა და ტაქტიკის წარმატების გარანტია. სწორედ ეს ნდობის ატმოსფერო, უშიშრად და უეჭველ მუშაობის ატმოსფერო, როცა არ არის ზედმეტი შფოთვა, პრინციპულობისა და ბოლშევიკური გერგილიანობის ატმოსფერო არის ჩვენი წინსვლის წყარო, ასე განსაკუთ, ჩვენი ბედნიერების წყაროც.

ამ პირობებში არ შეიძლება ჩვენს ყრილობაზე არ მოგიხსენიოთ ადამიანი, რომელმაც ასე ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს როლისა და ავტორიტეტის მთელ მსოფლიოში უმაგალითო ამაღლებისათვის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი — ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პიროვნებაში ჰარმონიულად არის შერწყმული ლენინური ტიპის რევოლუციონერის სულიერი თვისებები — ჭეშმარიტი პარტიულობა, ძაფიერ კლასობრივი პოზიცია, სიბრძნე, სიმტკიცე, გამბედაობა, გამჭრიახობა, ლენინური სითბო, დიდი ადამიანური გულისხმიერება, რომელიც ერთნაირად ათბობს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს.

ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამხ. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელ ტიტანურ ბრძოლას ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის, ერთა სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის.

დიალექტიკური წინააღმდეგობებით აღსავსე თანამედროვე მსოფლიოში, ამ რთულსა და ძნელ სამყაროში, საერთაშორისო ასპარეზზე არ არის ისეთი თვალსაჩინო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ისეთი შორსმჭვრეტელი და ბრძენი პოლიტიკოსი, ისეთი დიდი პიროვნება, რომლისადმიც მთელი დედამიწის კეთილი ნების ადამიანები გამსჭვალული იყვნენ ესოდენ გულწრფელი სიმპათიითა და სიყვარულით, მადლიერებითა და ნდობით, არ არის სხვა ისეთი ადამიანი, რომელიც მსოფლიოს ხალხებს მარტო მშვიდობისა და საყოველთაო პროგრესისათვის უთვალსაჩინოეს მებრძოლად კი არ ეგულებოდეთ, არამედ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ამ წმიდათა წმიდა ბრძოლის უთვალსაჩინოეს ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად, — როგორიც არის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი!

საქართველოს კომუნისტური პარტია, მისი XXV ყრილობა, რესპუბლიკის ყველა მშრომელი სულითა და გულით, მხურვალედ მოესალმებიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ჩვენი ხალხის დიდ მეგობარს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომელიც დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ადამიანების კეთილდღეობისათვის.

საანგარიშო პერიოდში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, ცენტრალური კომიტეტის მდივნებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის მრავალგზის მიუციათ ლენინური, ბრძნული რჩევა-დარიგება თანამედროვე ეტაპზე. კომუნისტური მშენებლობის კარდინალური საკითხების შესახებ.

ამ რჩევა-დარიგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ყრილობებს შორის პერიოდს ვერ ვუწოდებთ მარტივსა და ჩვეულებრივს. იგი აღსავსე იყო რთული, ძნელი და ამავე დროს მეტად საინტერესო მოვლენებით. შეიძლება ითქვას, რომ განვლილ პერიოდს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, ჩვენი ხალხისათვის.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ამ პერიოდის სირთულე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მომენტი. **პირველი.** ვიწუხებდით რა შეურიგებელ ბრძოლას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის, ღირსეულად უნდა შეგვეფასებინა მიღწეული და გაკეთებული, არ შეგვეფარა ადამიანთა რწმენა მთავარისა და არსებითის მიმართ, რაც კი რამ არის ჩვენს ცხოვრებასა და ჩვენს იდეალებში, არ შეგვექმნა უნდობლობის, შიშისა და ეჭვის განწყობიერება.

უნდა გაგვეჯანსაღებინა ატმოსფერო, გაგვემტკიცებინა მრავალი რგოლი პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში, მაგრამ არ შეიძლებოდა ყველა ერთი ცოცხით გაგვეგავა, განურჩევლად ყველაფერი ისტორიის სანაგეზეზე გადაგვეყარა.

დღეს სრული პასუხისმგებლობის გრძნობით, წრფელი სინდისიო შეგვიძლია მოვახსენოთ ყრილობას, რომ საქართველოს კომუნისტური ორგანიზაცია, ითვალისწინებდა რა პარტიის გამოცდილებას, როდი ჰყოფილა განჭვრეტის, სიფხიზლის, ობიექტურობის გრძნობას, თუ გნებავთ, — სიბრძნესაც, რათა ლაფში არ ამოესვრა ყველაფერი, რაც კი წმინდა გვაქვს ჩვენს ცხოვრებაში, არ გაებაბრუებინა მთელ თაობათა შრომისა და ბრძოლის ნაყოფი, არ დაეკნინებინა სოციალისტური მეურნეობრიობის მიღწევები.

მეორე. რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც ჯერჯერობით აფასებს წარსულში შექმნილს და ესმის ყოველივე მიღწეულისა და ნაკოვნის ფასი და მნიშვნელობა, საჯაროდ, მკაფიოდ და პირდაპირ ამხილა ნაკლოვანებები და შეცდომები, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებიდან და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებიდან გადახვევის რეციდივები. ფეოდალიდებული ყოყოჩობა, არაკომპეტენტურობა და ზერელობა, კადრების მცდარი შერჩევა, ზოგიერთი ხელმძღვანელის ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრებული ჩვენთვის უცხო და მიუღებელი ჩვევები და განწყობილება.

საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ პირდაპირ თქვა ისიც, რომ ყოველივე ამას მოჰყვა ჩვენი ჩამორჩენა სახალხო მეურნეობაში, სერიოზული და ერთი პრობლემები აღზრდის, მორალისა და ზნეობის სფეროში, პატიოსანი მშრომელის ცხოვრების გაუარესება. მისი საშუალო და რეალური ხელფასის, ოჯახური ბიუჯეტის ბალანსის შემცირება. სამნაირ კომუნალური პირობების გაუარესება, ყართულებები მომსახურების სფეროში და სხვ. ყოველივე ეს ითქვა, ყველა ამ პრობლემას ნათელი მოეფინა.

ჩვენი ხალხისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჯეროვნად გაიგეს მთელი სიმართლე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, უფრო მეტიც: ისინი მოელოდნენ ამ პოლიტიკურ მომენტს და იგი ისე აღიქვეს, როგორც ეს საჭირო იყო საერთო-სახალხო ინტერესების გამარჯვებისათვის, ჩვენი ხვალინდელი დღის, ჩვენი მომავლის ინტერესებისათვის.

მეხუთე. საქმის მდგომარეობის თვითრეალისტიკული შეფასება, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო იმისათვის, რომ გავიჯნოდით შეცდომებს, ხელმძღვანელობის მანკიერ სტილს, გვეჩვენებინა, რომ კომუნისტს სპეტაკი სინდისი ორგანულად ვერ ჰგუობს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისაგან ვერაფითარ გადახვევას.

ყოველივე ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ შეგვემუშავებინა პროგრამა, რომელიც ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ შტაკეი და საიმედო საფუძველს ჩაუყრიდა რესპუბლიკის მოწინავე პოზიციებზე გასვლას მეურნეობრიობის, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

თქვენ უკვე იცით, რომ ასეთი პროგრამის საფუძველი გახდა პარტიის ცნობილი გადაწყვეტილებები ჩვენი რესპუბლიკის შესახებ.

კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციის შესაბამისად ამ პარტიული დოკუმენტების დებულებათა შემდგომი გაღრმავება, განვითარება და დაკონკრეტება მოხდა საქართველოს კომპარტიის IX, X და მომდევნო პლენუმებზე, რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებებზე.

ეს, ამხანაგებო, არ იყო ჩვეულებრივი პლენუმები, თვითეული მათგანს ღირსეული ადგილი უჭირავს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად რესპუბლიკის მშრომელთა მობილიზაციის საქმეში. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პლენუმებს საკმაოდ მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

მეოთხე. შეიმუშაო პროგრამა თუნდაც ძალიან კარგი, ოპტიმალური პროგრამა, ის საქმის მხოლოდ ერთი მწარეა. ეს მხოლოდ დასაწყისია, ყველაზე მთავარი და არსებითი კი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაა.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის დირექტივების, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის მითითებების განხორციელებისათვის ვიჩადებელ საოლქო, საერთო-სახალხო ბრძოლას გაბედულად ჩაედგნენ სამაოცენი საქართველოს კომპარტიის ლენინურ-ოლქო, ქალაქ-რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები. გამორჩეულნენ ადამიანები, კადრები, შეკავშირდნენ კომუნისტები, დაიბრძოლნენ მასები.

ეიუზიაზმდებულად შეგიძლია ვთქვათ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება რესპუბლიკის ლირსების, პრესტიჟისა და აიტორიტეტის საქმე გახდა. საანგარიშო პერიოდში მუშობის გამოცდილებიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამ საყოველთაო, სრულიად სახალხო ბრძოლაში უკვე ომნიშნელოვანესი მიღნები დაეკიარით. დიდი ნაბიჯი გადადგეთ წინ. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. თუ ვგრძნობ-ლობენ ჩვენს ჩამორჩენას. მომავალი ამოცანები დიდ ძალთა მოკრძბას. საყოველთაო-სახალხო ენთუზიაზმის ახალ მოზღვავებას. შემოქმედი მასების ახალ კომეალობას მოთხოვს. და ამისათვის ახლა შემენილი ყველა წინაპირობა: რესპუბლიკის კომუნისტთა და კომავშირელთა თითქმის მოლიონნაბმა არმიან ინაბა თავისი ძალა. ეაინახა, თუ რა ძალუძს ხალხს, როცა მაზნები ნათელია და პარტიის ლენინური არსინალიდან აღიბეული ბრძოლის მითოდები სავსებით შეისაბამება რესპუბლიკის ახალი, კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციის პირობებს.

მშრომელი მასების ენერგიის დიდი შემოქმედებითი მოზღვავება ჩვენ ეს XXV ყრილობისათვის მზადაა, აგრეთვე იმ თიდმნიშნელოვან მოვლენებს, რომლებიც მას წინ უძღვის. ეს არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ოქტომბრის პლენუმი, პლენუმისა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული ბრწყინვალე. ორმაშინაარსიანი სიტყვა.

ეშმარიტად ისტორიულია პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები“.

რესპუბლიკის მშრომელება საბჭოური სახალხო ხელისუფლების ლენინური იდეების სრული გამარჯვების პირობებში ვანხილავენ ამ პროექტს, ადამოქმედნენ თავიანთ საქმიან წინადადებებს, იძლევიან რეკომენდაციებს, ხორცს ასხამენ თავიანთ იმ უფლებას, რომ ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, ქვეყნის მართვაში. აქრავად, რესპუბლიკის მორალურ-პოლიტიკური კლიმატი დღის მეათე ხუთწლედის კიდევ ოერო რეფლი და უფრო პასუხსაგები ამოცანების შესრულების შესაძლებლობის მტკიცე რწმენას გვინერგავს.

□

ამხანაგებო!

ჩვენს ყრილობაზე, დამტკიცებული რეგლამენტის შესაბამისად, წარმოდგენილი იქნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. ბატარძეის მოხსენება პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებების“ შესახებ და მეათე ხუთწლიდში რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ამოცანების თაობაზე. ამიტომ, ვიფიქრეთ რომ არ გამოგვიჯდეს, მიზანშეწონილად მეგვაჩნია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემებს მხოლოდ იმდენად შევეხოთ, რამდენადაც ეს საჭიროა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრობლემების გასაშუქებლად, რათა დიალექტიკური ანალიზის საფუძველზე გაჭვრეტილ ძირითადი ტენდენციები და შიმართულებები მეცხრე ხუთწლეში, კოენშნოთ როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებები, მათი წარმომშობი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. და განესაზღვროთ მეათე ხუთწლედისათვის მეინიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიმართულებები.

ამხანაგებო!

სკკპ XXIV ყრილობამ დასახა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ოპტიმალური და პროპორციული განვითარება, მრეწველობის ძირითად ამოცანად განსაზღვრა ეკონომიკის ინდუსტრიული ბაზის გაფართოება და სრულყოფა. და ამასთან დაკავშირებით სამრეწველო წარმოების სტრუქტურის საჭირო ცვლილებები იმ დარგების განვითარების უფრო სწრაფი ტემპის უზრუნველყოფის პირობებში, რომლებიც ხელს უწყობს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

თავის რეზოლუციაში ყრილობამ განსაზღვრა ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებიც — კომუნისტური მშენებლობის ყიელი უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფა. მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება.

ამ მითხოვნების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიურო ცდილობდნენ ამმაღლებინათ პარტიული მუშაობის ეფექტიანობის დონე, მისი შედეგიანობა. კომუნისტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ საკითხებს — ტექნიკური პროგრესის, მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის. ძირითადი საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენების — გადაწყვეტას.

ხუთწლედის მანძილზე განხორციელდა **საწარმოთა შემდგომი ტექნიკური განახლების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებები,** კომპლექსურად მიქანიზებული და ავტომატიზებულია 350-ზე მეტი საამქრო და უბანი. დაიდგა 900 მექანიზებული და ავტომატიზებული ხაზი. ათვისებულია 300-ზე მეტი სახეობის ახალი პროდუქცია, 247 ნაკეთობას მიენიჭა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი, დაინერგა 112 ათასი რაციონალურსტანდარტული წინადადება და გამოგონება, რომელთა ეკონომია ხუთწლედში 177 მილიონი მანეთია.

მარტო საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ხარჯზე მთლიანი პროდუქციის მატებამ ხუთწლეულში 250 მილიონი მანეთი. ანუ პროდუქციის საერთო მატების 50 პროცენტზე მეტი შეადგინა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის **ძირითადი საწარმოო ფონდები** ხუთწლიდის მანძილზე 1.4-ჯერ გაიზარდა, 32 პროცენტით გადიდდა შრომის ნაყოფიერება ძირეულებით გათვალისწინებული 30 პროცენტის ნაცვლად და ამის შედეგად ეროვნული წარმოების მთელი მატების 85.3 პროცენტი.

ვადამდე, 2 დეკემბრისათვის შესრულდა სამრეწველო წარმოების მოცულობის ხუთწლედის დავალებები, რომლის ზრდის ტემპმა 40,1 პროცენტი შეადგინა.

საქართველოს კომუნისტთა და ყველა მშრომელის შეუპოვარი შრომით შევძელით დაგვეძლია ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა. ეი შედარება: 1971-1972 წლებში მრეწველობის ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა 2.5 პროცენტი შეადგინა, მომდევნო სამ წლიწადში — 10.1 პროცენტი.

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ელექტროტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები: ელექტროტექნიკური, ქიმიური, ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებების, მანქანათმშენებლობის მრეწველობა.

ვადამდე შესრულეს ხუთწლიანი დავალებები ენერგეტიკის, ხორკლეულთა რძის მრეწველობის სამინისტროებმა, აგრეთვე ბერეზა საწარმოო კოლექტივმა. მათ შორის ანიან თბილისის ფიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა და ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის სალტომობილო ქარხანა. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანა და ცხინვალის ქარხანა „ემალსადენი“, ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატი და გაერთიანება „საქნავთობი“, ქუთაისის ბამბაბაქსოვი და ახმეტის გაერთიანებები, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“ და ბევრი სხვა.

ხუთწლედის დავალებები საერთოდ გადაჭარბებით შეასრულეს თბილისმა, ქუთაისმა, ჭიათურამ, ბათუმმა, სოხუმმა, ცხინვალმა, გორმა, ზუგდიდმა, ფოთმა, ტყვარჩელმა, ტყიბულმა და ბევრმა სხვა რაიონმა და ქალაქმა.

ძირფესვიანად შეიცვალა საქმის გეთარება თბილისის მრეწველობაში, რომელმაც ასევე წარმატებით გაანაღდა ხუთწლედის პროგრამა. თავისი ნაყოფი გამოიღო ეჭეფიურმა მუშაობამ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ქალაქში მკვეთრად შემცირდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა ბეგმის შესწორება-შემცირების შემთხვევები. მრეწველობის ხელმძღვანელობაში თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ დედაქალაქის შესაფერისი ადგილი დაიკავა.

დირექტიული დავალებების განხორციელებისათვის შეუპოვარმა ბრძოლამ, ძირითადი პარამეტრების მიხედვით მათმა შესრულებამ საშუალება მოგვცა გაგვეფმჯობესებინა საერთოდ რესპუბლიკის მრეწველობის მდგომარეობა: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 32,8 პროცენტით გაგვიდიდებინა, ხოლო ეროვნული შემოსავალი — 32 პროცენტით, და გადაგვიწყვიტა ხუთწლედის მთავარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგები დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, ძლევენ რა დიდ სიძნელეებს, უნარი შესწევთ გადაწყვეტონ ურთულესი ამოცანები. ამიტომ რაც მეათე ხუთწლედის მიზნებს განვსაზღვრავთ, უფრო მკაცრი და მომთხოვნი უნდა ვიყოთ საკუთარი თავისადმი.

საანგარიშო პერიოდში, იმის გამო, რომ საკმარისი ყურადღება ვერ გამოიჩინეს ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და შესაბამისმა სამინისტროებმა, არის ჩამორჩენა ელექტროენერგეტიკასა და ელექტროენერგიის წარმოების სომძლავრეთა გადიდებაში; მთლიანად ვერ შესრულდა მინერალური სასუქების, შიფერის, ავეჯის წარმოების დავალებები.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოება სისტემატურად ვერ ასრულებდნენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების საგეგმო დავალებებს. ხუთწლედის მანძილზე სახელმწიფოს დაკარგა 42 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ასეთი საქონელი.

მთლიანად ვერ შესრულდა ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმები.

ყოველდღე შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის საკითხების გადაჭრა. მაგალითად, მანქანათსაშენებელ საწარმოებში ხელის შრომის ხვედრითი წონა დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს. შეიქმნა დისპროპორცია ძირითადი ტექნოლოგიური პროცესებისა და დამხმარე წარმოებების მექანიზაციის დონეს შორის, რაც ამცირებს ძირითადი წარმოების ეფექტიანობას.

ზრუნავდნენ რა რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. დღეისადამდე არ იბრძოდნენ წარმოების ზარალიანობის ლიკვიდაციისა და რენტაბელობის ამაღლებისათვის, რის გამოც სისტემატურად ვერ სრულდებოდა თვითღირებულების შემცირების დავალებები, იშლებოდა მოგების და საბიუჯეტო გადასახდელების გეგმები.

ეს მავნე ტენდენციები ერთბაშად კი არ გამოვლინებულა, არამედ დიდი ხნის მანძილზე ინერგებოდა.

უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე, მათ შორის მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში, სამრეწველო პოტენციალის ზრდის ტემპი შემცირდა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა ანალოგიურ საერთო-საკავშირო მაჩვენებლებს. არ სრულდებოდა პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, რომ უფრო სწრაფი ტემპით განვეგითარებინა დარგები, რომლებიც ხელს უწყობს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. მაგალითად, ქიმიური მრეწველობის განვითარება არა მარტო შენელდა, არამედ მიღწეული მიჯნებიც კი დათმო.

ასეთი ფაქტები არის მანქანათმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობასა და სხვა დარგებში.

1961-1970 წლებში ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდამ რესპუბლიკაში 136 პროცენტი შეადგინა, ხოლო ქვეყანაში — 156 პროცენტი, მრეწველობის მუშაკთა ფონდაღჭურვა საშუალოდ წლის მანძილზე ჩვენში 5,6 პროცენტით იზრდებოდა, ხოლო ქვეყანაში — 5,8 პროცენტით. საქართველოს საერთო ეკონომიკურ განვითარებაში ნათლად ჩანს მისი არასაკმარისი ინდუსტრიული განვითარება, ე. ი. სამეწარმეო წარმოების შედარებით მცირე წილი, ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში. მიცხრე ხუთწლედში წარმოების ამ სფეროში რესპუბლიკაში დასაქმებული იყო მომუშავეთა საერთო რიცხვის 26 პროცენტი, მაშინ, როცა მთელ ქვეყანაში ეგი 38 პროცენტს შეადგენდა.

როგორც ცნობილია, ეს და სხვა მანკიერი ტენდენციები შემდგომში მკაცრად შეფასდა მთელ რიგ პარტიულ დოკუმენტებში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. რესპუბლიკაში საქმის მდგომარეობის ღრმა შესწავლის, დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ანალიზის საფუძველზე მიიღო ცნობილი დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. დადგენილებაში პირდაპირ არის აღნიშნული სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლოვანებები.

ხელმძღვანელობს რა ამ დადგენილებით, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას ეყო. ძალები და ეაკეკეობა დაგმო როგორც ეკონომიკის ხელმძღვანელობის სტილი, ისე მეთოდები და შინაარსი, რომლებიც საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ჩამორჩენის მთავარი მიზეზები იყო.

1973 წლიდან, იმის შედეგად, რომ ხელსაყრელი პოლიტიკური წინაპირობები შეიქმნა სახელმწიფო, სავაჭრო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ფართოდ გაიშალა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება, კარგი საძირკველი ჩაეყარა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას.

ამან საშუალება მოგვცა თანდათანობით შეგვეტკბინებინა ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე შექმნილი სხვაობა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპში და წარმატებით გავსულიყავით დასახულ მიჯნებზე.

ასეთია მეცხრე ხუთწლედის ზოგიერთი შედეგი მრეწველობაში — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგში.

როგორც აონიშნულია პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში, **მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის კომუნისტური პარტიის კურსის თანმიმდევრული განხორციელება.**

ამ ამოცანის შესრულება რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, კომუნისტებისა და ყველა მშრომელისაგან მოითხოვს მზარი შრომითა და საზოგადოებრივ აქტივობას, დაძაბულ შემოქმედებითს მუშაობას, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის გაძლიერებას, ბევრი სხვა პრობლემის გადაჭრას.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მიღწეული ძირითადი ეკონომიკური პარამეტრების საშუალო ზრდის ტემპი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გათავისებულ ნეგიდნი ათვალიწინებ-ნათ საშუალო-საკავშირო დონისაგან ჩვენი ჩამორჩენა და მით უმეტეს იმისათვის, რომ რესპუბლიკა გაიყვანოთ საბჭოთა კავშირში მოწინავე პოზიციაზე ძირითადი მაჩვენებლის — ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის დონის მიხედვით. ამიტომ მიათე ხუთწლედში მტკიცე ბაზა უნდა შეიქმნათ ჩამორჩენის საბოლოო დაძლევის.

როგორც ცნობილია, XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროგრამა მეათე ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკისათვის საერთაშორისო წარმოების მოცულობის ზრდა 35-39 პროცენტით არის განსაზღვრული. ეს საერთო-საკავშირო მაჩვენებლის დონეა. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ჩამორჩენას ინდუსტრიული დარგების განვითარებაში, თვისუფალი შრომითი რესურსების, ფართობებისა და მოწყობილობის რაოდენობას, მიზანშეწონილად მეგონება. საკავშირო მთავრობას წარუდგინოთ წინადადება, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ტემპი 41 პროცენტამდე გადიდდეს.

მეათე ხუთწლედის ამოცანები მოითხოვს მუშაობაში ხარისხობრივი მაჩვენებლების გაფუჭობესებისადმი ყურადღების გაძლიერებას ისე, რომ არ შეიქმნიროთ დინჯერეს

საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას

(გაგრძელება)

ციის ხარისხის ყოველნაირად ამაღლების ყველაზე აქტუალური, ყველაზე საჭიროროტი პრობლემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმმა, რომელიც ამ პრობლემას მარტო დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას კი არა, არამედ სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებს, მიზნად დაგვისახა გადავაქციოთ მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედად.

პროდუქციის ხარისხის პრობლემა ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად ითვლება, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის სამრეწველო განვითარება და ეროვნული პრესტიჟი, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, საგარეო ბაზაზე ნაწარმის კონკურტუნარიანობის გაუმჯობესება.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა შესრულდა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ეს მაინც ძოკრძალებული დასაწყისია. ხარისხისნიშნიანი ნაწარმი წარმოების საერთო მოცულობაში ჩვენში დაახლოებით 2 პროცენტს შეადგენს, ქვეყანაში კი 7 პროცენტს. სამრეწველო წარმოების ამ პოზიციის მიხედვით ჩვენ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის არასახარბიელო, მე-14 ადგილი გვიჭირავს.

უარესად არის მასობრივი პროდუქციის წარმოების საქმე, საშუალოდ ყოველწლიურად ხარისხი უქვეითდებოდა ან გამოსასწორებლად ბრუნდებოდა შემოწმებული ნაწარმის 20-25 პროცენტი.

ჩაუკვირდით ამ ციფრებს, აახასგებო.

მასობრივი მოხმარების ყოველი მეოთხე ნაკეთობა არადამაკმაყოფილებელი ხარისხისაა. საკითხავია, ვისთვის ვაწარმოებთ ასეთ მდარე პროდუქციას.

თუ ვაწარმოებთ ჩვენი ადამიანებისათვის, ჩვენი მშრომელი ხალხისათვის, ეს არ შეგვშვენის, გამოდის, რომ ცუდად ვზრუნავთ, არ ვაკმაყოფილებთ მათს საარსებო, მათ შორის, ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. უფრო მეტიც, ვამცირებთ მათი ოჯახის ბიუჯეტს.

თუ ვაწარმოებთ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებისათვის (სადაც რესპუბლიკათშორისო მიწოდების წესით, ჩვენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 39 პროცენტი გაგვაქვს), ამ შემთხვევაშიც ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობა გვაკისრებს მივაწოდოთ მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქცია და გაუფრთხილდეთ თვითეული საწარმოს მარკას.

თუ ვაწარმოებთ მოძმე სოციალისტური ქვეყნებისათვის, რომლებთანაც ასევე მჭიდრო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს, აქ საქმე უნდა ეხებოდეს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას.

და ბოლოს, თუ ვაწარმოებთ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, სადაც, როგორც ცნობილია, ულმობელი კონკურენციული ბრძოლა წარმოებს გასაღების ბაზრებისათვის, აქ საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ისეთ პროდუქციას, რომელიც ყოველმხრივ გაუწევს მეტოქეობას საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს.

კაპიტალისტები, მე ვიტყოდი, არც ისე სულელები არიან, რომ იყიდონ ჩვენგან მდარე პროდუქცია, რომელიც იქ ვერ გასაღდება და ვერც მოგებას მოუტანს მათ.

მაშ ვისთვის ვაწარმოებთ, სად მიგვაქვს ძვირფასი ნედლეული და მასალები, რიდასთვის ვხარჯავთ ფუჭად სამუშაო ალაგს და რატომ ვტვირთავთ მოწყობილობას, თუ ვერ ვაღწევთ მთავარ მიზანს — ვერ ვიღებთ ჩვენთვის საჭირო მაღალი ხარისხის საბოლოო პროდუქტს?

ამრიგად, ხარისხის საკითხი შორს სცდება ეკონომიკური ინტერესების ფარგლებს. იგი ჩვენი პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხი ხდება. და თუ ეს ასეა, ჩვენი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საძეკუნეო ხელმძღვანელების, რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ პროდუქციის ხარისხის პრობლემა ახალ ხუთწლედში შრომითი კოლექტივების უპირველეს საზრუნავად გადაიქცეოს.

ჩვენ აშკარად გვაკლია ხარისხის პრობლემის გადაწყვეტის ზუსტად შემუშავებული სისტემა, არ გვსურს ძირეულად შევცვალოთ მიდგომა ამ აქტუალური საკითხის გადაჭრისადმი.

ბაგალითად, ძსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის, საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროებში, სადაც მინისტრებად ამხანაგები გამცემლიძე, მაღრაძე, ლოლაშვილი არიან, ერთი შეხედვით ბევრს შუშაობენ პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად. მაგრამ, თუ კარგად ჩაუკვირდებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთელი ეს მუშაობა ძირითადად ქაღალდების მოხზეულობით ამოიწურება, რადგან ხარისხი კვლავინდებურად მეტისმეტად მდარეა.

ხარისხისათვის მარტო აგიტაცია კი არ არის საკირო, ხარისხისათვის აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ. ამ თვალსაზრისით კარგი მაგალითები გვაქვს თბილისის, ქუთაისის და სხვა ქალაქების საწარმოებში. მაგრამ მეტწილად ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს ჯერჯერობით ლოკალური ხასიათი აქვს. ამ საქმეში წაყენებულ მოთხოვნებს არ შეესაბამება სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს სამმართველოს და მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის ინსტიტუტის თბილისს ფილიალის მუშაობა.

ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ჩვენს საგეგმო ორგანიზაციებს; მათ უნდა შემოიღონ დაგეგმვისა და ანგარიშგების ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ეკონომიკურად წაახალისებდა საწარმოებსა და დარგებს თვითეული ნაწარმის განუწყვეტელი განახლებისა და გაუმჯობესებისათვის, ხარისხის ამაღლებისათვის.

ხარისხისათვის ბრძოლა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოქმედების საბრძოლო პროგრამად უნდა მივიჩნიოთ მის ყველ რგოლში.

□

ამხანაგებო!

მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი ამაღლების პროგრამის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია კაპიტალური მშენებლობა. მას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს ინდუსტრიულ კომპლექსში, მასზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი ზრდა, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება. მეცხრე ხუთწლედის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა მშენებლობა. სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობამ ხუთწლეულში 5 მილიარდ 340 მილიონი მანეთი შეადგინა, ამუშავდა 72 დიდი საწარმო, რომლებიც თანმედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, რეკონსტრუირებულია ასობით მოქმედი საამქრო, ქარხანა და ფაბრიკა. მწყობრში ჩადგა დარეკტივებით გათვალისწინებული ხუთწლედის მშენებლობები: ბადნეულის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი და ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა. დენი გამოიმუშავეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის პირველმა ჰიდროელექტროსადგურებმა.

რესპუბლიკის მრეწველობას შეემატა ახალი სიმძლავრეები თბილისსა და რუსთავის სამსხმელო ქარხნებში, რუსთავის ქიმიურ და მეტალურგიულ ქარხნებში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანს საწმენდი დანადგარი, ბათომისა და ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნები, ჭიათურის ახალი მაღაროები, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური და სხვ.

საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის მეორე ლიანდაგები ხაშურ-ზესტაფონის უბანზე, ხაშურ-ბათუმის ნაკვეთებსადენი, ელეკტორები სოხუმსა და ქუთაისში, დიდი მეფრინველეობის ფაბრიკები კოდაში, გორში, გამარჯვებაში, ცხაკაიასა და ოჩამჩირეში, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა საუცხო საჩუქრები მიიღეს — კინოსაკოსცერტო დარბაზი, ეროვნგაზლისა და ავტოვაგზლის ახალი შენობები, მეტროს სადგურები „ისანი“ და „სამგორი“, სტუმართმოყვარულად გაიღო მაღლი სასტუმროს „აჭარის“ კარი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მსუბუქი და კვების ინდუსტრიის მშენებლობებზე.

ამ დარგების საწარმოთა სამრეწველო პოტენციალიც მთლიანად მეცხრე ხუთწლედში 630 მილიონი მანეთით გაიზარდა.

ისევე, როგორც წინათ, ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება და, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესება. ოკეკი მესამე წელია რესპუბლიკაში სრულდება საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები, მეცხრე ხუთწლედში ძირტო სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების ხარჯზე საექსპლოატაციოდ არის გადაცემული 4 მილიონ 876 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. აშენდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებები 21 ათასი ბავშვისათვის, სკოლები 177 ათასი მოსწავლისათვის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები 10 ათასი კაცისათვის, 7,3 ათას საწოლიანი საავადმყოფოები.

ასეთია არასრული ნუსხა. მაგრამ, კაპიტალური მშენებლობის საქმის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად მაინც ვერ ჩაითვლება, მშენებლობა კვლავ არის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა.

საკმარისია ითქვას, რომ ძირითადი მაჩვენებლები — ძირითადი ფონდების ამოქმედებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების დავალებები არ შესრულებულა ხუთწლედის არცერთ წელს. განვლილი წლების მანძილზე რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა შეკრებილობა ზრდამ მხოლოდ 24 პროცენტი შეადგინა დავალებით დაწესებული 36 პროცენტის ნაცვლად. სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები სისტემატურად იშლებოდა. ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის მოსახლეობამ ვერ მიიღო 420 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მაშინ, როცა ბარაკებსა და სარდაფებში ჯერ კიდევ ცხოვრობს ათასობით ადამიანი.

რა მოხდა? ხომ ვერ ვიტყვით, შენება არ ვიცოდით ან არ ვიცოდოთ. შეგვიძლია ბევრი მაგალითი მოვიყვანოთ საქართველოს მშენებელთა ეკუმარიტი შრომითი გმირობისა. გავიხსენოთ თუნდაც რუსთავის მშენებლობა, მძიმე ოფისშემდგომ წლებში მეტალურგთა ქალაქი სულ რამდენიმე წელიწადში აშენდა, ჯიმისა და საგარეჯოს ეროვნებელეობის ფაბრიკები კი თითქმის 10 წელია შენდება, და ჯერ კიდევ ბოლო არ უჩანს.

ანდა, მოდით, ერთმანეთს შევადაროთ მშენებლობა რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ჩვენს რესპუბლიკაში. რუსეთში ხომ გაიცილებით უარესი კლიმატური პირობებია, ვიდრე ჩვენში, ზამთარი სუსხიანი და ხანგრძლივია, მაგრამ იქ გაიცილებით სწრაფად და უკეთ აშენებენ, მარჯვენებლებიც კარგად აქვთ. მაშ რა ხდება, რატომ ირის, რომ ვგვაქვს გამოცდილებაც, შესაბამისი ტექნიკაც, მაგრამ გაცილებით შეტანის და უარესად ვაშენებთ? ნება მიბოძეთ შევეხო ზოგიერთ ყველაზე მთავარ მიზეზს, რომლებიც წარმოშობს ჩამორჩენასა და სერიოზულ ნაკლოვანებებს კაპიტალურ მშენებლობაში.

მშენებლობა, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგი, დაეგეგმვის ექვემდებარება. ბევრი სამინისტრო, უწყება და ორგანიზაცია დაუსაბუთებლად ცდილობს აშენოს ახალი ობიექტები. ასეთი „დაწყებული“ მშენებლობა დღეს ბევრი დაგროვდა. დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობამ 1975 წლის 1 იანვრისათვის მილიარდ 134 მილიონი მანეთი, ანუ „კაპიტალური დაბანდების წლიური მოცულობის 112 პროცენტი შეადგინა. მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია — 74 პროცენტი. ახლა მარტო საწარმოო დანიშნულების დაწყებული ობიექტების დამთავრებისათვის საჭიროა 640 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდებები. უკეთესი რიგზე ვერ არის სოფლად მშენებლობის დაგეგმვაშიც.

როგორც ჩანს, დადგა დრო ავამაღლოთ საბერმწიფო საგეგმო კომიტეტის, შემკვეთი სამინისტროებისა და უწყებების, დამფინანსებელი ორგანოების პასუხისმგებლობა, რომლებმაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა განახორციელონ პარტიის პოლიტიკა კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენება ფულადსინი დასაბუთებული ეკონომიკური გაანგარიშების საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს, ამასთან საჭიროა უფრო მეტად მოვახმაროთ სახსრები უკვე დაწყებული მშენებლობების დამთავრებასა და მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციას. ჩვენ მოვალენი ვართ გადავწყვიტოთ კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციის პრობლემა, ეტაპობრივად აკრძალოთ რესურსების დაქსაქსვა მრავალი წლისა და მრავალი მშენებლობის მიხედვით.

ჩამორჩენის მეორე ძირითადი მიზეზი ის არის, რომ წარსულში ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა მშენებლობის ბაზა — საშენ მასალათა და კონსტრუქციათა მრეწველობა. ვერ ვიტყვით, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს ყურადღება არ ეთმობოდა — მეცხრე ხუთწლედში მარტო საშენი კონსტრუქციებისა და დეტალების მრეწველობის განვითარებას 205 მილიონი მანეთი მოხმარდა, მაგრამ დახარჯულ სახსრებს ჯეროვანი უკეთესი არ მოუტანია, მაშასადამე, საბოლოო მიზანი მიღწეული არა ყოფილა.

სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში ტექნოლოგიის დონე უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე თითქმის არ შეცვლილა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა ქვეყნის საშუალო დონეს. საწარმოთა სიმძლავრეებს იყენებენ 85, ზოგიერთ შემთხვევაში კი 60 და 40 პროცენტითაც.

როგორ გინდა გაუგო მშენებლებს, როცა ისინი თავისიანი საკუთარი ბაზის ობიექტების — საშენ მასალათა საწარმოების მშენებლობას აჭიანურებენ? მაგალითად, თბილისის სახლთსაშენებელი კომბინატის რეკონსტრუქცია 1967 წლიდან წარმოებს, საგარეჯოს აგურის ქარხანა კი დადგენილი ორი წლის ნაცვლად თითქმის შვიდი წელია შენდება.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ვფიქრობ ითქვას, სრულიად არ ფიქრობდნენ ყურადღებას აღგილობრივი საშენი მასალების წარმოების განვითარებს. მაშ სხვანაირად რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ადარის გამოშვება უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 7 პროცენტით შემცირდა, ქერამიკა — 12 პროცენტით. ასეთივე მდგომარეობაა შიფერის, კრამიტისა და სხვა საშენი მასალების გამოშვების საქმეში.

რესპუბლიკას დღემდე არა აქვს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე კარიერები. იმ დროს, როცა დიდი მოთხოვნაა ჩვენებურ მარმარილოზე, ტუფზე, ბაზალტზე, ეკლარის ქვაზე, მათი მოპოვება და დამუშავება ყველაზე ეფექტიანობის ფაქტორ წესით წარმოებს.

მშენებლობის მტკიცე ბაზის შექმნასთან დაკავშირებული საკითხვების დროულად გადაჭრას ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საკითხია 1976-1977 წლებში არა მარტო დავამთავროთ დაწყებული ობიექტების მშენებლობა და ავითვისოთ ახალი სიმძლავრენი, მივაღწიოთ სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში დაბანდებული სახსრების სრულ უკუგებას, არამედ შევადგინოთ კიდევ ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარების 10-15 წლის პერსპექტიული პროგრამა.

პასუხსაგები ამოცანები უნდა გადავწყვიტოთ მშენებლობის მარტივის სტაბილურის ხრსულოვის საქმეში. ოკეანასკნელი 10 წლის მანძილზე რესპუბლიკაში პირველადი საიჯარო ორგანიზაციების რიცხვი გაორკეცდა. ერთი სამშენებლო ტრესტის მიერ საშუალოდ წესრიგდებული სამუშაოთა მოცულობა 11 მილიონ 400 ათას მანეთს შეადგენს. ეს მე-14 ადგილია ქვეყანაში, სამშენებლო სამმართველოსი — მილიონ 700 ათას მანეთს — მე-15 ადგილი ქვეყანაში. ყოველივე ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკაში სერიოზული ყურადღება არ ეთმობოდა მშენებლობის მართვის სტრუქტურის სრულყოფის საკითხებს. მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებსა და სხვა სამშენებლო ორგანიზაციებში უმოკლეს ვადაში მთლიანად უნდა დამთავრონ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების, ტრესტების გამსხვილებისა და განმტკიცების, სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაციის დაწყებული მუშაობა.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები თვალსაზრისებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას მშენებლობაში 36 პროცენტით. ფაქტიურად ხუთწლეულში შრომის ნაყოფიერება მოთხოვნილი რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში 24 პროცენტით გაიზარდა, აქედან 14 პროცენტით მარტო უკანასკნელი ორი წლის, მანძილზე. ქვეყნის მასშტაბით ეს მაჩვენებელი 29 პროცენტს შეადგენს.

შრომის ნაყოფიერების ზრდის დაბალებები მნიშვნელოვანწილად ვერ შესრულდა იმის გამო, რომ დაბალია სამშენებლო ტექნიკის გამოყენების დონე. ხელის შრომით დასაქმებულ მუშათა რიცხვი 53 პროცენტს აღწევს. ჩვენი ერთი მშენებელი მუშის წლიური გამომუშავება საშუალო-საკავშირო მაჩვენებელზე 500 მანეთით ნაკლებია. რესპუბლიკის საშუალო-საკავშირო დონის მიღწევა ნიშნავს დამატებით შეეასრულო თითქმის 60 მილიონი მანეთის სამუშაოები.

მნიშვნელოვანი რეზერვები შეგვიძლია ავამოქმედოთ, თუ ფართოდ გავავრცელებთ შენებლობებზე ბრიგადული საერთო ანგარიშს, რომელზეც ამჟამად გადაყვანილია ბრიგადების საერთო რიცხვის მხოლოდ 9 პროცენტი. სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ამოცანა ის არის, რომ ქმედითი ღონისძიებები გაანახორციელონ და 1976 წელს ახალი მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი 20 პროცენტამდე გაზარდონ.

მშენებარე ობიექტების, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების ხარისხის გაუმჯობესება დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მშენებლობის ხარისხს ფრიად სერიოზული ყურადღება დაეთმო. მაგრამ, სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ წარმოებს მტკიცე და პრინციპული ბრძოლა მშენებლობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვთ ავჭალის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, გორის მშენებლებს. 1975 წელს მშენებელობათა სულ სამმა პროცენტმა მიიღო „ფრიადი“ შეფასება, ეს კი ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთეული ობიექტები შენდება ისე, როგორც საჭიროა.

ეს საკითხი სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. 1975 წლის ივნისში გამოიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უხარისხო მშენებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ჯერ არ ყოფილა ამ ბრძანებულების გამოყენების შემთხვევა, მაგრამ, უფლება გვქონდა კანონის მთელი სიმკაცრით მოგვეკითხა პასუხი ზოგიერთი მშენებლისათვის სამუშაოთა დაბალი ხარისხის გამო.

საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის ზრუნვა თვითეული მუშის, ოსტატის, სამუშაოთა მწარმოებლის ღირსების საქმე უნდა გახდეს. ახლა ქვეყანაში ფართოდ გამოუხმაურეს ლენინგრადელ სახლთაშენებელთა თაოსნობას — ყველა ობიექტი მხოლოდ „ფრიადი“ შეფასებით ჩაბარდეს. ჩვენში ამ საგულისხმო თაოსნობის ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, მხარდაჭერა ვერ ბოვა.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა მშენებელს, პარტიულ კომიტეტებს საბოლოოდ აღმოფხვრან საცხოვრებელი სახლების უხარისხო მშენებლობა, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ იმათ, ვისაც ჯერ კიდევ არ ესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს პრობლემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმმა კვლავ აღნიშნა, რომ საჭიროა შემცირდეს მშენებლობის ღირებულება, მოგვიწოდა აქტიურად ვიბრძოლოთ უყაირათობის, მფლანგველობის წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით ეხება მშენებლობას, სადაც ხუთი წლის მანძილზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტიური თვითღირებულების თანაფარდობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან თითქმის უცვლელი რჩება და შეადგენს 93 პროცენტს. ამასთან, მთლიანად ქვეყანაში ეს დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელი წლითიწლამდე უმჯობესდება. კომუნისტთა ვალია უფრო შედეგიანი გახადონ ბრძოლა მომჩვინვლობის რეჟიმისათვის, უფრო ქმედითად აქციონ შეჯიბრება ეკონომიური მშენებლობისათვის, ადამიანებს ჩაუნერგონ მატერიალური რესურსებისადმი უყირათიანი დამოკიდებულების გრძნობა.

კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ჩვენს დამპროექტებლებს. უკანასკნელ წლებში ცალკეულ ნაგებობათა მაღალ ტექნიკურ დონეზე დაპროექტების ბევრი მაგალითი გვაქვს. მაგრამ მიღწეული ნორმატივები ვერ მიჩქმალავს სერიოზულ ნაკლოვანებებს ამ საქმეში. ტექნიკური დოკუმენტაცია ხშირად დიდი დაგვიანებით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გაუთვალისწინებლად მუშავდება.

უნდა ავამაღლოთ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დონე, გადაჭრით აღკვეთოთ მშენებლობის მსვლელობაში სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაზე და პროექტების შეცვლის პრაქტიკა, ამ საქმეში დავამყაროთ მკაცრი სახელმწიფო წესრიგი, გამოვიჩინოთ მაქსიმალური მომთხოვნელობა და პრინციპულობა.

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესებისათვის. პრაქტიკამ ცხადყო, რომ იქ, სადაც პარტიული კომიტეტები აქტიურად წყვეტენ მშენებლობის საკითხებს, საქმის მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. თბილისის, ჭიათურის, ზუგდიდის, ბოლნისის, ზესტაფონისა და ზოგიერთი სხვა პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად სრულყოფილი სახალხო მეურნეობის ამ დარგის ხელმძღვანელობას, დიდი პასუხისმგებლობით განიხილავენ და წყვეტენ მშენებლობის საკითხებს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტის საქმიანობა კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის ხასთან არ შეესაბამება. ღღეკანდელობის ამოცანებს. ათის ხელმეტები, როცა ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობის ნაცვლად ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს ფორმალურად, ზერელედ უდგებიან.

პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ მშენებელთა ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და აღზრდას, ტრესტის მმართველიდან მოფოლებული და სამუშაოთა მწარმოებლითა და ბრიგადირით დამთავრებული.

მშენებლობის სუკერ საერთოდ გაცილებით მეტ პარტიულ ყურადღებას მოითხოვს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, შესაბამისად რესპუბლიკურმა ორგანოებმაც, თავის დროზე განიხილეს და დასახეს სამრეწველო საწარმოთა ექსპლუატაციის კაპიტალური მშენებლობის ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემების დარგში, რომელთა შორის იყო დაგეგმვის, მშენებლობის ბაზის განვითარების, საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხის, საპროექტო-საძარკვალიერებო საქმის, კადრებით მშენებლობათა უზრუნველყოფის საკითხები.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ეს ბრძანებულება ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან ყურადღებას ვერ ეთმობოდა. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჯეროვან დონეზე ვერ დგას ხელმძღვანელობა კაპიტალური მშენებლობისადმი, რომელსაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში დიდი ხანია ხელმძღვანელობს ამხ. ა. მ. ლაბახუა.

უნდა ითქვას, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დიდი ხნის მანძილზე ნეგატიური მოვლენები შეიმჩნეოდა როგორც კადრების შერჩევაში, ისე თვით კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობაშიც. არ იკრძალებოდა ჯეროვანი მომთხოვნელობა და მომკითხვა ლობა დადგენილი გეგმების შესრულებისათვის, იყო ცალკეული ხელმძღვანელთა არაჯანსაღი მეფობაც.

სერიოზული პრეტენზიები უნდა წაეყენოთ რესპუბლიკის სახმეფლს. (თავმჯდომარე ამხ. ი. ნ. ციციშვილი), რომელიც პასუხისმგებლობა ეკისრება მშენებლობის, განსაკუთრებით სამინაო მშენებლობის დაბალი ხარისხისათვის, იმისათვის, რომ არ არის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა კაპიტალურ მშენებლობაში.

უკვე ორი წელია, რაც რესპუბლიკაში შეიქმნა „კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო (უფროსი ამხ. გ. ს. შენგელია). ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით ამ ორგანოზე მშენებლობის მართვის სრულყოფისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების საქმეში, მაგრამ სასურველი შედეგები ჯერჯერობით არა ჩანს. ალაში, უწინარეს ყოველისა, დამნაშავეა თვით სამმართველოს ხელმძღვანელობა, რომელშიც, სამწუხაროდ, შემთხვევითი ადამიანები აღმოჩნდნენ. ერთიანი შეჯიბრის მოვალეობა ამ გაიგივეს მხოლოდ ფაქტების აღრიცხვასთან და ცხობების შედგენასთან, მაშინ როცა იგი ქმედითის კონტროლს უნდა უწევდეს მშენებლობის მიმდინარეობასა და ხარისხის რაციონალურ გამოყენებას, აქტიურად ეფარფოლებდეს თავის ფუნქციებს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობაში.

მშენებლობის სამინისტროს საქმიანობაში (მინისტრი ამხ. ნ. ა. მემმარიაშვილი) უკანასკნელ ხანს გარკვეული ძვრები დაისახა, ბევრამ ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მეტი, და უწინარეს ყოველსა ყველი ობიექტის ამოქმედების გეგმების შესრულება. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელს უშლის რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობის მუშაობის სტილისა და მეთოდების არსებითი ნაკლოვანებები. ჯეროვანი კონტროლი არ ეწევა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას. დრო, ბოლოს და ბოლოს, მინისტრის მოადგილეებმა შეწყვიტონ ტრესტებისა მმართველთა უმაქნისი შეურვეობა. მუშაობა უნდა გაუმჯობესოს სამინისტროს კოლეგიამაც.

შედეგების შეჯამებისას, უნდა აღინიშნოთ, რომ ყრილობის ბევრი დარეკტიული მითითება ვერ შევასრულეთ. აქედან დასკვნა უნდა გამოიტანოს ყველამ — მინისტრებმაც — ამხანაგებმა ხ. ა. შემმარიაშვილმა, ი. ა. ხარატიშვილმა, ო. ი. ლოლაშვილმა, სახმშენის თავმჯდომარემ ამხ. ი. ნ. ციციშვილმაც, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების მდივნებმაც.

რესპუბლიკის მშენებლებმა გარკვეული შედეგებს მიაღწიეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს საარეულო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ამოქმედების საქმეში, და ახლა ამოცანა ის არის, რომ შეგვინარჩუნოთ ეს წარმატებები, ახალი დამკვრელური ტემპით დავიწყოთ მეათე ხუთწლედის პირველივე დღეები.

ამას წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 1, 8 და 14 ტრესტების ინიციატივა, რომ საცხოვრებელი სახლების მწყობრში ჩაყენების გეგმები 1976 წლის 7 ნოემბრისათვის შეასრულონ. მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ ამ მნიშვნელოვან თაოსნობას ფართოდ გაიზიარებენ, რომ პარტიული ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ, რათა მას კანონის ძალა მიენიჭოს საბინაო მშენებლობაში.

მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია მეათე ხუთწლედში 5 პროცენტამდე გადიდდეს ხახსრების გამოყენება ბინებისათვის სამრეწველო მშენებლობის ხარჯზე. ეს უფლება ყოველთვისად უნდა გამოიყენოთ. საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ ჩვენი წარმატებები მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაში, თავი მოვუფაროთ ძალებსა და რესურსებს უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ სამრეწველო მშენებლობებზე.

სასოფლო მშენებლობაში საჭიროა დავდგეთ აგრარულ-სამრეწველო რაიონული კომპლექსების აგების, დასახლებული პუნქტების ფასეულობის შემქმნელს — ადამიანს. ამიტომ, როცა ვზრუნავთ ეკონომიკის განვითარებისათვის მის ინდუსტრიულ სფეროში — მრეწველობასა და მშენებლობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ სფეროს მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელს — მუშათა კლასს.

თავისი ობიექტური საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო მუშათა კლასი არის ყველაზე რევოლუციური, ბრძოლისუნარიანი, ორგანიზებული, შეგნებული და ყველაზე დინამიკურებული მებრძოლი კაცობრიობის უმაღლესი იდეალებისათვის. მშრომელთა რევოლუციური ავანგარდის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იგი ისტორიის ნებით განსაკუთრებულ როლს ასრულებს კაცობრიობის ბედში.

ამას თვალსაჩინოდ ცხადყოფს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითიც; როცა თავი იჩინა უარყოფითმა ტენდენციებმა, რომლები

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

(გაგრძელება)

ში. და რესპუბლიკის მუშათა კლასის უმრავლესობა გაზრდილ პოლიტიკურ აქტივობას იჩენს. ეს იმით ჩანს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში, საბჭოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში განუხრელად იზრდება მუშათა რიცხვი, დღითიდღე ძლიერდება მუშათა კლასის გავლენა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში.

მუშათა კლასი მოდამ ზრდის თავის რიგებში ადამიანებს, რომლებსაც უნარი შესწევთ იტვირთონ პასუხსაგები საზოგადოებრივი საქმე. ასეთია მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გამმართველი, სოციალისტური შრომის გმირი იოსებ ხაზარაძე. როგორც დაწინაურებულია ხელმძღვანელ სამუშაოზე — საქართველოს პროფსაბჭოს მდივნად.

ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის დღეგანდელი მეწინავე — ეს არის კაცი, რომელსაც შინაგანი მოთხოვნილება აქვს ხარცი შეასხას საზოგადოებრივ იდეალებს. ეს არის მისი საზოგადოებრივი აქტიურობის დაუშრეტელი წყარო. ყველაფერი, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, უცხო არ არის მისთვის, მას თავის საქმედ მიაჩნია ყველაფერი, რაც შრომელთა ინტერესებს შეეხება.

უკანასკნელ წლებში მუშათა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ იმდენად არა, რომ დავკმაყოფილოს. ჩვენ ბევრი ნაკლი, ხარვეზი გვაქვს, ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, ბევრი რამ უნდა დავძლიოთ. და ამიტომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა თანახმად საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები მოვალენი არიან: **დღენიადაგ აამაღლონ მუშთა კლასის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, მიაღწიონ მუშათა რიცხვის ზრდას რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში, უფრო თამამად დაიწინაურონ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი პასუხსაგებ პოსტებზე, მიანდონ კომუნისტური მშენებლობის ყველაზე რთული უბნები, მხარი დაუჭირონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ მოქალაქეობრივ და შრომითს საქმიანობაში.**

ორი ორდენი — ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები უმჯობესებს მეერდს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 1 მარტენის ღუმელის მეფოლადეს, კომუნისტ გრიგოლ ბერეკაშვილს, რომელმაც 25 წლის მუშაობის მანძილზე მილიონ ტონამდე ფოლადი გამოადნო. ამდენი ფოლადით შეიძლება დამზადდეს 400 ათასზე მეტი საბავშვო ავტომობილი.

27 წლია თბილისის კამგოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ მუშაობს სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქიმამეილი. ამ დროის მანძილზე მან 4 ათასი ტონა ამამოლის ნართი დამამზადა, რომლითაც მიღებულია 7 მილიონ 500 ათასი მეტრი ქსოვილი, რაც საკმარისია ჩვენი რესპუბლიკის ნახევარი მოსახლეობის შესამოსავად.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ დედამიწა მშრომელი ადამიანით ფასობს.

აქედან გამომდინარეობს პარტიული ორგანიზაციის შემდეგი, გადაუდებელი ამოცანა: კიდევ უფრო ამაღლოს მუშური პროფესიების პრესტიჟი, დაარწმუნოს ხალხი, რომ ადამიანს ყოველ ადგილას, ყოველ პროფესიაში შეუძლია არჩიოს სამუშაოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ეთიკურ-ესთეტიკური საწყისი მიანიჭოს. ოღონდ პროფესიის საიდუმლო დაეუფლოს. ამ პროფესიაში შემოქმედების უსაზღვრო შესაძლებლობა ეძიოს.

□

ამხანაგებო!

იმ კურსის შესაბამისად, რომელიც შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა და მოიწონეს სკკპ XXIII და XXIV ყრილობებმა, პარტია და მთავრობა განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებენ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის დაჩქარებული აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ამ ღონით დასაბუთებული აგრარული პოლიტიკის მეობებით ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მეცხრე ხუთწლედში გაუძლო უაღრესად ცუდი ამინდის პირობებით გამოწვეულ მძიმე განსაცდელს.

დიდი კმაყოფილების გრძნობით ავსებს გულს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებები. ეს გრძნობა მარტო ამის შეგნების გამო კი არ გვეპადება, რომ რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების ხუთწლედის გეგმები, არამედ, უფრო სწორედ, იმის გამო, რომ საქართველომ უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე პირველად მიაღწია ეკონომიკის ამ დარგში წარმოების ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. ამით შეეძლოთ დამაჯერებლად დაგეგმარებინა ყველასათვის, მათ შორის სეპტემბრისთვისაც, რომ ძალა შეგვწევს მთლიანად დავძლიოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა.

1971-1975 წლების მანძილზე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა ფიზიკური მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ციტრუსი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, ხილი, ბრონეული, ძრძე და სხვა პროდუქტები. სულ კი გასულ ხუთწლედში დამზადდა 220 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

რესპუბლიკის მიერ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის, აჭარის, მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთისა და გალის რაიონების მეჩაიეებმა, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების, მევენახეებმა, წითელწყაროს რაიონის მხენელ-მთესველებმა და აბაშის რაიონის მესამინდეებმა, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების მებოსტნეებმა, ბორისა და ქარელის რაიონების მეხილეებმა, აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების მეცხოველეობის ფერმერებმა, ახალქალაქის რაიონის მეცხოველეებმა, ლენინგორისა და სხვა რაიონების მეცხვარეებმა. რესპუბლიკის 45-მა კოლმეურნეობამ და 31-მა საბჭოთა მეურნეობამ ყველა მაჩიენებლის მიხედვით ვადამდე შეასრულეს გასული ხუთწლედის გეგმები და გამარჯვეს საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ხუთწლედმა გამოავლინა ათასობით ახალი სახელი — სოფლის მეურნეობის დარგში სკკპ XXIV ყრილობის დიდ წინასწარმეტყველებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ნამდვილი გმირები.

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული შრომის ნაყოფიერების ზრდის, ზოგიერთი სოფლის მეურნეობის პროდუქტის თვითღირებულების დაკლების, ზარალიან მეურნეობათა რიცხვის შემცირების, რენტაბელობის, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომის ანაზღაურების გადიდების საქმეშიც.

მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის სიფიცხეზული ჩამორჩენის დაძლევამ მოითხოვა სოფლად მთელი პარტიული და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფა და გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გაკიცია საქმის მდგომარეობა ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, შეიმუშავა და განახორციელა კონკრეტული ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში არსებული ნაკლოვანებათა დასაძლევად. მაგრამ დროის მოკლე მონაკვეთში, ბუნებრივია, არ გვქონდა შესაძლებლობა ერთდროულად დაგეგეგმინაურებინა სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, და ამიტომ პირველად პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ღონისძიებები მიზნად ისახავდა ყველაზე საჭირბოროტო, ყველაზე გადაუდებელი პრობლემების გადაჭრას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ პარტიულ ორგანიზაციათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, თუმცა მათს ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ მუშაობის საკმარისი გამოცდილება, წარმატებით გაართვა თავი ამ პასუხსაგებ ამოცანას.

ამხანაგებო!

ზოგიერთ წარმატებაზე რომ ვლაპარაკობთ, ამავე დროს ხაზს ვუსვამთ, რომ სოფლის მეურნეობის დარგში განვლილი ხუთწლედის მანძილზე დაძლეულია მხოლოდ ხუთწლედის პირველი ორი წლის ჩამორჩენა — ეს არის და ეს. რაც შეეხება საქმის საერთო მდგომარეობას, იგი ვერაც ახლაა სახარბიელო. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლები შესაბამის საშუალო-საკავშირო მონაცემებზე და მით უფრო მოწინავე მოძმე რესპუბლიკების მაჩვენებლებზე გაცილებით უფრო ნაკლებია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხანგრძლივი ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფონდდაჭურვის დაბალი დონის შედეგია. მაგრამ მეორე უბედურება ის არის, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად ვიყენებთ არსებულ ფონდებს. ამ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლით ჩვენს რესპუბლიკას ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელთა სირცხვილია, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობაში დაბანდებული თვითეული მანეთი მხოლოდ და მხოლოდ 39 კაპიკ უკუგებას იძლევა.

ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება ორჯერ და მეტად ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში. თუმცა უკანასკნელი წლების მანძილზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა რამდენადმე გაიზარდა, მათი მაჩვენებლები ჯერ კიდევ დაბალია. მაგალითად, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობით მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ჩვენ მეექვსე ადგილი გვიჭირავს, კარტოფილის მოსავლიანობით — მერვე, ყურძნისა — ბოლოსწინა, ბოსტნეულის მოსავლიანობით კი უკანასკნელი ადგილი. უარესად გვაქვს მეცხოველეობის პროდუქტიულობის საქმე. საშუალო წველადობა ჩვენში ორჯერ და მეტად ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ხბოს, ბატკნისა და გოჭის გამოსავლიანობით რესპუბლიკას უწინდებურად ბოლოსწინა ადგილი უჭირავს მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

ფონდდაჭურვის, შრომის ნაყოფიერების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაბალი დონე განაპირობებს სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის მაღალ თვითღირებულებას, ბევრი მეურნეობის ზარალიანობასა და მცირე რენტაბელობას.

ჩვენი სოფლის მეურნეობის სერიოზულ ჩამორჩენას დამაჯერებლად მოწმობს ისიც, რომ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მან გეგმების შესრულებას დააკლო 2 მილიონ 200 ათასი ტონა მარცვლეული, 500 ათასი ტონა ბოსტნეული, 700 ათასი ტონა კარტოფილი, 400 ათასი ტონა ხილი, 403 ათასი ტონა ყურძენი, 312 ათასი ტონა ხორცი, 2 მილიონ 300 ათასი ტონა რძე, მილიარდ 170 მილიონი ცალი კვერცხი და სხვ.

ეს გავლენას ახდენს ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოხმარების დონეზე. ჩვენს რესპუბლიკაში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე იგი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა კავშირში.

ასეთია მოკლედ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საქმის მდგომარეობის ობიექტური შეფასება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს უაღრესად საჭიროდ მოიხსენოს ყრილობის სახალხო მეურნეობის ამ საარსებო მნიშვნელობის დარგში დიდი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები და მეათე ხუთწლედში მისი საბოლოოდ დაძლევის გზები.

ის მიზეზები, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სოფლის მეურნეობის გაძოლის მოძველებული, პრიმიტიული მეთოდების ბრალია. უნდა ვალიაროთ, რომ ჩამორჩენების მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების პრაქტიკას. ნომ არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ჯერ კიდევ 15-20 წლის წინათ ყველგან დაიწყო სამეურნეობათაშორისო, საიაონთაშორისო და აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა შექმნა. რომლებიც სამუალებას გვაძლევს სასოფლო-სამეურნეო წარმოება თანდათან გადავიყვანოთ ინდუსტრიულ საფუძველზე. ჩვენ რაოს ვშრომობთ? თუ არ ჩავთვლით პირუტყვის სასქესო ფერმინში გაერთიანებას. ცალკეულ მეფერმენეველობის ფაბრიკებსა და მრძეველობის კომპლექსებს. რომლებიც შეიქმნა და აშენდა ოკანასკნელი წლების მანძილზე. ჩვენი მეცხოველეობის ფერმების უმრავლესობა წვრილი. მცირე სიმძლავრისაა. მაგალითად, საშუალოდ ერთ ოლმეურნეობაზე რესპუბლიკაში მოდის 117 ძროხა. 189 ღორი და 968 ცხვარი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა მიმეკონარეობაშიც.

სრულიად არ გვაკმაყოფილებს არც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის დონე. თუ არ ჩავთვლით ისტორიულად ჩამოყალიბებული ზონალური სპეციალიზაციისა და ცალკეულ მეურნეობებს, რომლებიც დასპეციალდნენ კონკრეტულ სახეობათა პროდუქციის წარმოებაზე, ყველა ჩვენი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. არსებითად. მრავალფარგოვანია ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ლაგოდეხის რაიონი, რომლის კოლმეურნეობებს მოჰყავთ 20-მდე სახეობის მარცვლეული, ბოსტნეული, ტექნიკური და მრავალწლოვანი კულტურები.

რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზებზე დაწერილებით იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე. როგორც მოგეხსენებათ, პლენუმმა დასახა ამოცანა, რომ ხორცის, რძის, ვერცხლის წარმოების მსხვილი სახელმწიფო, საკოლმეურნეობათაშორისო და სამეურნეობათაშორისო სამრეწველო კომპლექსების მშენებლობასთან ერთად მეათე ხუთწლედში განხორციელდეს რესპუბლიკის ყველა რაიონში არსებული ფერმების სპეციალიზაცია, კონცენტრაცია და რეკონსტრუქცია.

სპეციფიკური ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გამო რამდენადმე უფრო რთულია მოიწყოს გაღრმავებული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია მემცენარეობაში.

თუმცა საქართველო მებაღეობისა და მევენახეობის კლასიკური რესპუბლიკად არის მინნეული, დღემდე ეს დარგები. მიტაფრი მებაღეობა. ჩვენში ექსტენსიურად ვითარდება. ჰექტარზე 60-70 ცენტნერი ხილი ჩვენში კარგ მოსავლად ითვლება. მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეურნეობებში დიდი ხანია გადავიდნენ ინტენსიურ მებაღეობაზე და ჰექტარზე 300-400 ცენტნერ ხილს იწევენ.

სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებამდე რესპუბლიკაში ბაღ-ვენახების გაშენების დროს არ ითვალისწინებდნენ სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას, ხშირად წინასწარ არც კი სწავლობდნენ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების მაგისტრალური ხაზია და იგი ყოველნაირად უნდა დავაჩქაროთ. ამასთან, ჩვენა გვიფრთხილებს თუ რაოდენ რთულია ეს პროცესი, რომელიც გაანალიზებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომას მოითხოვს. ამ არ შეიძლება აჩქარება, ეტაპებზე გადახტომა და უკიდურესობაში გადავარდნა, მაგრამ ამავე დროს არამც და არამც არ უნდა შეიჯაკოთ პროცესის განვითარება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნდა მიიზიდონ დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები. შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, სპეციალისტები და შეიმუშაონ და განახორციელონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ზუსტი, გრძელვადიანი პროგრამა. სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, ავრეთვე აგროსამრეწველო ინტეგრაციის ძირითადი მიმართულებებისა და პარამეტრების, ვადებისა და ეტაპების განსაზღვრა ძირითადად წლეულსვე, 1976 წელსვე უნდა დავამთავროთ.

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა, მისი გაერთიანებული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე მოითხოვს სოფლის მეურნეობის მართვის ფორმების შესაბამის შეცვლასაც, რამაც, როგორც აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. საშუალება უნდა მოგვცეს განვახორციელოთ ერთიანი საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში, გავითვალისწინოთ ხელმძღვანელობის სხვადასხვა დონეს შორის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ზუსტი განაწილება, ორიენტაცია ავიღოთ იმაზე, რომ ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობა ორგანულად ეხამებოდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობას, ინიციატივას.

ამხანაგებო!

პარტია და მთავრობა, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პოლიტიკას რომ ახორციელებენ, უზარმაზარ სახსრებს გამოყოფენ დიდ ფართობებზე მიწების რწყვისა და ამოშრობისათვის, ეროზიის საწინააღმდეგო და სხვა კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მარტო რწყვისა და ამოშრობას ჩვენს რესპუბლიკაში 376 მილიონი მანეთი მოხმარდა. ამ პერიოდის მანძილზე საკაპიტალოტაციოდ გადაეცა 184 ათასი ჰექტარი სარწყავი და ამოშრობილი მიწები. მაგრამ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციების მიერ წარმოებული სამელიორაციო სამუშაოების ცუდი ხარისხის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელების უნიათობის გამო მელიორირებული მიწები ხშირად ისევე იტმორება, ჭაობდება, დამლაშებული ხდება და, არსებითად, გამოდის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან.

როგორც 1974 წლის ინვენტარიზაციამ ცხადყო, სარწყავი ფართობები ამჟამად შეადგენს სულ 363 ათას ჰექტარს, ხოლო ამოშრობილი — 147 ათასს. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1964 წელს რესპუბლიკაში იყო 473,1 ათასი ჰექტარი სარწყავი და ამოშრობილი მიწები, გამოდის, რომ მათი ტერიტორია 147 ათასი ჰექტარით შემცირებულა. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ 1967 წლის ინვენტარიზაციის დროს ჩამოწერეს 30 ათას ჰექტარამდე სარწყავი მიწები, რომლთაგან 8 ათასი ჰექტარი „შეცდომით“ მოუმატეს სარწყავ ფართობებს, 12 ათასი ჰექტარი კი — დამლაშების გამო ჩამოწერა. 7 წლის შემდეგ ახალი ინვენტარიზაციის მასალებით კვლავ ჩამოწერეს 10 ათას ჰექტარზე მეტი მიწები, მათგან 5 ათას ჰექტარამდე ისევ „შეცდომით“ აღმოჩნდა სარწყავ ფართობებში.

მინისტრმა ამხ. გ. ს. ჯობულიამ, მისმა მოადგილეებმა, სხვა ამხანაგებმა იქნებ განგვმარტონ ამ, ლმობიერად რომ ვთქვათ, მანიპულაციების მექანიზმი. სხვათა შორის, იგივე ხდება ჩვენში მებაღეობისა და მევენახეობის დარგში. დღემდე არავის შეუძლია თქვას— რამდენი ვენახი და ბაღი გვაქვს. ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგს ცეცხლივით ეშინია ბაღ-ვენახების ნამდვილი ინვენტარიზაციის. საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ კომისიასა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს დავავალოთ შეისწავლონ ეს საკითხი და პასუხი აგებინონ კონკრეტულ დამნაშავეებს.

თუმცა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სოფლის მეურნეობის რაიონულმა სამმართველოებმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწიეს ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად. აღგილებზე ისინი ჯერ კიდევ ისე ბევრია, რომ დღემდეც კი ჩვენს მიწებზე, განსაკუთრებით კი მელიორირებულ მიწებზე საუკეთესო შემთხვევაში იმის ნახევარს ვიღებთ, რისი მოცემაც მათ შეუძლიათ.

მეათე ხუთწლედში მიწების მელიორაციის დიდი სამუშაოები უნდა შევასრულოთ. 1976-1980 წლებში უნდა მოვრწყათ 60 ათასი ჰექტარი და ამოვაშროთ 40 ათასი ჰექტარი ახალი მიწები, ძირითადად კოლხეთის დაბლობში, რომლის ამოშრობა და სასოფლო-სამეურნეო ათვისება საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამზადებენ წინადადებებს ამ პრობლემაზე, რათა ისინი შემდგომ განიხილონ საკავშირო ორგანოებმა.

უაღრესად სერიოზული პრობლემაა დამლაშებული მიწების ქიმიური მელიორაცია და ბიოლოგიური გაჯანსაღება. ამ მიწებს, ხომ მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, ინტენსიური მეგენახეობის, მებაღეობისა და მებოსტნეობის ზონაში 200 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს ეს პრობლემა თავისი მნიშვნელობით კოლხეთის პრობლემის თანაბრად მიაჩნია და ამიტომ შესაბამისი ორგანიზაციებისაგან დაბეჯითებით მოითხოვს დაამთავრონ რესპუბლიკის ამ არსებითად მიგდებული სიმდიდრის დაჩქარებული ათვისების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება.

როგორც გასული წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, საქართველოს თითქმის ყველა რაიონს აქვს შესაძლებლობა დიდი კაპიტალური დაბანდებები არ დასჭირდეთ და აშენონ ეკრეთ წოდებული მცირე საწყაცი სისტემები. სოფლის მეურნეობისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების მონაცემებით, მიმდინარე ხუთწლედში შეიძლება დამატებით მოირწყას 15-20 ათასი ჰექტარი.

ხუთწლედის დამლევს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახწყაცი მიწების თვითეულ ჰექტარზე მოვიყანოთ სულ ცოტა 40 ცენტნერი მარცვლეული, 250 ცენტნერი ბოსტნეული და კარტოფილი, 80 ცენტნერი ყურძენი და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული სასუქის პრობლემასთან. ჩვენს რესპუბლიკას ყოველწლიურად 750-790 ათასი ტონა მინერალური სასუქი ეძლევა. მაგრამ. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, ტრანსპორტირების, შენახვისა და ნიადაგში შეტანის დროს იკარგება სასუქის დაახლოებით 25 პროცენტი.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ორგანული სასუქების გამოყენების საქმე. უკანასკნელ დრომდე ჩვენ ავრეთვე არ გვქონია არაეითარი სისტემა ტორფიანი სასუქების წარმოებასა და გამოყენებაში.

ამ ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინერალური სასუქებითა და ბზამქიმიკატებით ცენტრალიზებული წესით ეზრუნველყოფა სისტემატურად ეაუმჯობესდება. ამას გარდა, რუსთაველი ქიმიკოსების გვპირდებიან, სოფლის მეურნეობას გეკვმის გადაჭარბებით 100 ათას ტონა მინერალურ სასუქს მივაწვდინო. რაიონული პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ მინერალური და ორგანული სასუქების, პესტიციდების მაქსიმალური და რაციონალური გამოყენება, მკაეთრად გაუმჯობესონ აგროსამსახურის მუშაობა.

ჩვენს დროში, როცა პარტიამ აიღო ინდუსტრიულ შრომასთან სასოფლო-სამეურნეო შრომის მაქსიმალური დაახლოების კურსი, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტრიფიკაციას. ახლა, ამ საქმეში თვისებრივად ახალი პროცესების მეოხებით, სახელდობრ წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის შედეგად, სოფლად მარტო შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხები კი არ წყდება, არამედ სოციალური განვითარების ამოცანებიც.

ტექნიკით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სულ უფრო მზარდმა უზრუნველყოფამ, მექანიზატორთა კადრების გამოშვების გაოდიენამ საშუალება მოგვცა რამდენადმე აგვეშალებინა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ზოგიერთი დარგის მექანიზაციის დონე. ამასთანავე, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მიღწეული დონე სრულიადაც არ აკმაყოფილებს კოლმეურნეობრივ-საბჭოთა-საკუთრებით დაბალია შრომატევად დარგებში — მებოსტნეობასა და მეთამბაქოობაში. სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანი კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.

შექმნილი ვითარება მით უფრო შეიუწყნარებელია, რომ უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის მექანიზატორთა კადრების რაოდენობის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას უოიგოდ როდი აქვს საქმე სხვა რესპუბლიკებთან შედარებით. საკმარისია ითქვას, რომ მარტო „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში 1.600-მდე ინჟინერი და ტექნიკოს-მექანიზატორია. ასე რომ, ყოველ 10 ტრაქტორისა ოლმეურნეობაში „საქსოფლტექნიკის“ ერთი ინჟინერ-მექანიზატორი მოდის. მიუმატეთ მათ კოლმეურნეობებში. სახელმწიფო მეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოებში მომუშავე მექანიზატორები. ეს დიდი ძალაა, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს ტექნიკურ პოლიტიკას სოფლად. ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის კი ვიჩრდება უწინარეს ყოვლისა კადრები. რომლებიც უშუალოდ მართავენ ტექნიკას. ჩვენ კი ყოველი მეათე ტრაქტორი გვიცლება ტრაქტორისტთა ნაკლებობის გამო. დრო ბოლო მოიღოს ასეთ ფუფუ-რობას. ცენტრალური კომიტეტს ოთლება აქვს მოსთხოვოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანებებს „საქსოფლტექნიკას“. რაიონულ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ ტექნიკის ეფექტიანი გამოყენება, ამაღლონ მექანიზატორთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, კვალიფიციურ მექანიზატორთა კადრებით დააკომპლექტონ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ფულება არა გვაქვს დაავიდეწოთ. **რომ მეათე ხუთწლედი უნდა იყოს და კიდევაც იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მექანიზაციის დონის მკვეთრი ამაღლების ხუთწლედი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა ზუსტად განსაზღვრა მეცხოველეობის დარგში მექანიზაციის ამოცანები. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ამოცანების თანახმად 1980 წლისთვის მეცხოველეობის მექანიზაციაში უნდა მივიღწიოთ თუნდაც საშუალო-საკავშირო დონეს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მიწათმოქმედების ყველა დარგში მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დონის ამაღლების ასეთივე ზუსტი, ყოველმხრივ დასაბუთებული პროგრამის შემუშავება დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან ერთად. ამ პროგრამაში სათანადო ადგილი უნდა დათმოს მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მებოლეობაში, მეცხოველეობაში, მებოსტნეობაში, სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგში მცირე მექანიზაციის დანერგვასაც.

ამხანაგებო!

სასოფლო-სამეურნეო ორგანოების საქმიანობის ყველა პოზიტიური და ნეგატიური მხარე საბოლოო ანგარიშით ასახავს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ ბოლო დროს განხორციელებულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყვეს ხელი მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. გასული ხუთი წლის მანძილზე ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ფონდების ღირებულება გაიზარდა 546 მილიონი მანეთით, კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავალი— 28 მილიონი მანეთით, საბჭოთა მეურნეობების მოგება — 22,8 მილიონი მანეთით.

მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. მთავარი მიზეზები ის არის, რომ დამაკმაყოფილებლად არ წარმოიდა ეკონომიკური მუშაობა, საკმაოდ ეფექტიანად ვერ ვიყენებდით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და დიდ ფინანსურ დახმარებას.

ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი მეურნეობა მცირერენტაბელურია, ხოლო 160-ზე მეტი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უწინდებურად ზარალიანია. ამ მეურნეობებში შექმნილი მდგომარეობა ბევრჯერ შევისწავლეთ, შევიმუშაავეთ მათი ჩამორჩენის აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებები. მაგრამ შესამჩნევი ზრდა არ იგრძნობა. როგორც ჩანს, უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შეათე ხუთწლედში საბოლოოდ მოვსპოთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური ჩამორჩენა და სამეურნეო ხელმიუწვდომლობა. ყრილობის ტრიბუნიდან შეუძლებელია ყველა საკითხზ

საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას

(გაგრძელება)

კობთ, ამავე დროს გულახდილად უნდა ვაღიაროთ, **რომ** რესპუბლიკაში ამ პროცესს ყოველთვის არ შეესაბამება სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული გარდაქმნების ტემპი. ზოგჯერ ვიეიწყებთ, რომ წინა ანალიზე ობიექტურად წამოწეულია „ადამიანის ფაქტორი", ესე იგი შრომის ნაყოფიერების გადიდების ეკონომიკური და სოციალური სტიმულების ეფექტიანობა.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების თავისებურების გამო ჩვენ ძი განსაკუთრებით მწვავედ დგას რესპუბლიკის ძირითადი და მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემა. აშკარად და პრინციპულად უნდა ითქვას, რომ წარსულში ამ პრობლემას საერთოდ არ წყვეტდნენ. და დღეს ჯერ კიდევ არა გვაქვს მთიანი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერული კონცეფცია. ამავე დროს თვითეული მათგანი იმდენად სპეციფიკურია, რომ დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს.

მთის სოფლის სოციალურ პრობლემათა გადაჭრაში დიდ როლს ასრულებენ საავტომობილო გზები. ჩვენს მთიან რაიონებში ძალიან ცოტა კარგი გზები გვაქვს, ამიტომ ზოგი სოფელი ზამთარში სრულიად მოწყვეტილია გარესამყაროს.

ყრილობის დელეგატებს, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს კარგად მოეხსენებათ ცენტრალური კომიტეტის მასალები, რომლებიც ჩვენმა XIV პლენუმმა მიიღო და რომლებშიც პირუთვნელად, პარტიის წევრებისადმი სრული ნდობით, მთელი სისრულით ვამხილეთ მანკიერი მოვლენები ჩვენს სინამდვილეში რომ იყო გამჯდარი.

ამასთან უფლება არა გვაქვს დუმილით ავუაროთ გვერდი ბევრ სერიოზულ ნაკლოვანებებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის დაყენების საქმეში.

ამას გვაიძულებს დებულებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „ტამბოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“. ამას გვაიძულებს ახალი ხუთწლეულის ამოცანათა სირთულე და პასუხისმგებლობა.

რა მთავარი ხარვეზები გვაქვს კრიტიკისა და თვითკრიტიკის დაყენების საქმეში?

ეგი შედგამ როდია წაკმარისად საგნობრივი, მიზანმიმართული და ობიექტური; კომუნისტების, ბევრი მშრომელების სამართლიან, კონსტრუქციულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს შედგამ ჯეროვნად როდი ეხმაურებიან შესაბამისი ორგანოები. და ბოლოს, ვფიქრობ, ბევრ მუშაკები, რომლებიც კრიტიკას აღიქვამენ როგორც პირად შეურაცხყოფას, პირად შორისმეობას, რომლებსაც ღრმად სჯერათ, ყოველმხრივ უმწიკლონი არიან.

თუ რა მოსდევს კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფას, ეს, ეჭვმიტ, კარგად ჩანს ვითარებით, რომელიც თავის დროზე შეიქმნა ადგილის, თერეთლის, დუშეთის, ბოგდანოვკის რაიონებში, ბორის საქალაქო და ბევრ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში, და რის გამოც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღო შესაბამისი დადგენილებები. ცნობილია აგრეთვე კრიტიკის ჩაბუნების შემთხვევები.

უნდა მოვახსენოთ ყრილობაზ, რომ ხელმძღვანელი კადრების აბსოლუტური უმრავლესობა გეიჩვენებს ზემოთად კრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკისადმი ნამდვილად სწორ, ლენინურ დამოკიდებულებას, და ამითაც ელინდება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარი.

სამწუხაროდ, კიდევ გეყოვის ამხანაგების კატეგორია, მათ შორის ბევრი პასუხისმგებელი და პატივცემული ამხანაგი, რომლებიც თავიანთი უმოქმედობით, ინერტულობით ანდა მდუმარე პროტესტით, ყოველად უბოდიშოდ უგულებელყოფენ კრიტიკას როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სეროიზული საყვედურები და ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის მთავარმომარაგების მუშაობის შესახებ.

ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზულად გაკრიტიკა მთავარმომარაგების ხელმძღვანელობა მომარაგების სისტემაში დატაცების, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ინერტულობისათვის.

დღეს, ბაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარმომარაგების ხელმძღვანელებმა ამხანაგმა კოდუამ და ამხანაგმა ხარაბაძემ შესაბამისი დასკვნები ვერ გამოიტანეს კრიტიკიდან და ამ სისტემის ბევრ ქვედანაყოფში ელემენტარული წესრიგი არ არის. კვლავ გამოვლენილია დიდი დატაცებები და ბოროტმოქმედებები.

ამხ. კოდუა ორმაგად აღებს პასუხს კრიტიკის უგულებელყოფისათვის როგორც ორგანოს ხელმძღვანელი და **როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებას. თვითკრიტიკა, მისი განვითარების დონე ჩვენი ხელმძღვანელი კადრების, კომუნისტების შინაგანი სრულყოფის კრიტერიუმია.

თვითკრიტიკა თვითგანწმენდის, თვითდაოსტატების იარაღია. სწორედ თვითკრიტიკა, საკუთარი საქმიანობის საბოლოო შედეგებისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულება აძლევს მორალურ უფლებას თვითეულ კომუნისტს, თვითეულ ხელმძღვანელს გაკრიტიკოს სხვები.

ამხანაგებო!

ბევრ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, თითქმის ყველა პარტკონფერენციაზე კომუნისტებმა, დელეგატებმა მთელი სიმკაცრით აღძრეს საკითხი კრიტიკანობის, დემაგოგიისა და ციხილსწამების შესახებ, კრიტიკანების, დემაგოგებისა და ციხილსწამებლების პასუხისმგებლობის შესახებ. რა შეიძლება ვთქვათ ამის შესახებ?

დიახ, ვიცით, ამხანაგებო, რომ არიან კრიტიკანები, დემაგოგები, ციხილსწამებლები. ისინი ცოტანი არიან, მაგრამ ხომ არიან. ჩვენ კარგად გვესმის დელეგატთა აღშფოთება. რა ვუყოთ მათ? ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის ვითარების დრამატიზება. გამოსავალი მარტივია: ყური არ უნდა ეუგდოთ კრიტიკანებს, დემაგოგებს, ან გავაჭაჭანოთ ისინი ტრიბუნებზე. ციხილსწამებლები კი გავასამართლოთ კანონის მიხედვით.

მაინც საიდ პოოლობენ საკვებს თავიანთი ბინძური საქმიანობისათვის ჩვენი საზოგადოების ეს ანტიპოდები?

ყველას მოგეხსენებათ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის ნაგვის ყუთები, ნაგვის ორმოები, ამ ანტიპოდების ხელობა კი სანაგვეში ქექვაა. ეს მათ დიდ კმაყოფილებას ჰგვრის, ასეთი ჯურისანი არიან.

აღვუთქვამთ ყრილობას, რომ უახლოეს ხანში ყოველ ოონს ვიხმართ, რათა მოვსპოთ ასეთი სანაგვეები, კრიტიკანებსა და ციხილსწამებლებს იმით დაესჯით, რომ ვაიძულებთ სუფთა, მაცოცხლებელი და ჯანსაღი ჰაერით ისუნთქონ.

ვარწმუნებთ, რომ ასეთი დასჯა არაფერს უჭიდის მათს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ასეთია ჩვენს სინამდვილეში კრიტიკისა და თვითკრიტიკის, როგორც პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ძირითადი პერიპეტიები.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და დაცვის დარგში რესპუბლიკის კომპარტიის მუშაობის შესაბამი მთავარი მიმართულება დაკავშირებულია სკკპ შემადგენლობისა და წევრობის რეგულირებასთან.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ბაზი ის არის, რომ გაწმენდოს ატმოსფერო, უწინარეს ყოვლისა, პარტორგანიზაციების შიგნით. პარტია ჩვენი ეპოქის ეონება, პატიოსნება და სინდისია, პარტია საზოგადოების ავანგარდია, და ეს მისია პარტიას შეუძლია შეასრულოს, თუ იგი **რაოდენობრივად და თვისებრივად იზრდება.**

რესპუბლიკის პარტორგანიზაციას მოდამ ემატებოდა ღირსეული დამამენები, მაგრამ ახლოლეს წარსულში ბევრი იყო შემთხვევითი, მისთვის უიცხო ელემენტი.

ახლა მდგომარეობა ძირითადად გამოსწორებულია. კომპარტია იზრდება როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად.

ამჟამად საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში 318 ათასზე მეტი კომუნისტია. საანგარიშო პერიოდში იგი თითქმის 22 ათასი კაცით გაიზარდა. საკვლევით ბუნებრივია. რომ ეს ზრდა ოზრუნველყოფილი იყო, უწინარეს ყოველისა, შუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლების ხარჯზე.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები მოითხოვს **ვიცავდეთ პარტიის თვითეული წევრის უფლებებს,** ხოლო ისინი ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შემდეგ ცენტრალური კომიტეტი გეგმაზომიერ მუშაობას ეწეოდა, რათა ეს ნორმები ცხოვრების ნორმა გამხდარიყო პარტიის ყველა წევრისათვის, ანრეთვე ყველა პირველადი, რაიონული, საქალაქო, საოლქო პარტიული ორგანიზაციისათვის.

ახლანდა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების გაშარჯვებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის სამი ძირითადი მიმართულებანი.

როგორ მოახერხა პარტიულმა ორგანიზაციამ აქტიურად ემუშავა სამივე მიმართულებით?

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო მკვიდრდება მუშაობის ლენინური სტილი, პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხელმძღვანელობის **კოლეგიურობის** ლენინური პრინციპის თავის ოფლებებში აღდგენას.

მაგრამ ყოველივეგან კოლეგიურობასა და კოლეგიურობას როდი შეუძლია ავგაიცილოს თავიდან შეცდომები და ხარვეზები. პარტიული ცხოვრების ლენინური პრინციპები გულისხმობენ, რომ ხელმძღვანელ პოსტებზე ირჩევენ ან ნიშნავენ ჭკვიან, გამოცდილ, კომუნისტურ ადამიანებს. კლასობრიობითა ოდ მეცნიერულობით გამსჭვალულ სწორ გადაწყვეტილებებს ღებულებ იქ, სადაც მაღალკვალიფიციური, ღირსეული ამხანაგები მუშაობენ.

რა არის ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოებისა და კადრების ძირითადი ნაკლოვანებები თანამედროვე ეტაპზე?

ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების ერთ ნაწილში ყველაზე გავრცელებული ნაკლი და ალბათ არის მოშობის ადმინისტრაციული მეთოდები, ბიუროკრატიზმი. მოვლენებისა და პრობლემებისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის.

სწორედ ხელმძღვანელობის თანამედროვე პრინციპების ფაზოლებელყოფით, შეხებამისი ინფორმაციის ულონლობით, საქმისადმი არაკონკრეტული და ზერელე მიდგომით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზარშან.რეკონსტრუქციაში ჩაშალა ნიკრისა და ხიბის წარმოების გეგმები, ვერ შესრულდა კვერცხის დამზადების გეგმა. ამასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას ვერ გაიქცევიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზ. ვალდიაშვილი. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ამხანაგები ფოთიანი და გასანოვი, „საქფრინველმრეწვის“ მმართველი ამხ. ჯინჭარაძე, პარტიის შესაბამისი რაიკომები და რაიაღმასკომები.

ჩვენ ჯერ კიდევ ეხვდებით ეჭა-ეჭ ამხანაგებს. რომლებსაც თავი ვერ დაუფარეთ „თეთრი ხელთათმანებით“ მუშაობის ჩვეულებისათვის. გაურბიან ადამიანებთან ცოცხალ კონტაქტებს, უფრთხიან სტატისტიკასა და კონკრეტულ ციფრებს. ავიწყდებათ, რომ უანალიზოდ არ არის დასკვნები. შეთასება და ანწზოგადება.

ამრიგად, შუშობაში არაკომპეტენტურობისა და ზერელეობის წინააღმდეგ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მეტი ხუთწლეულისათვის დასაბულ ამოცანათა ჯადასაწყვეტად.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს — **პოლიტიკური და ორგანიზაციონალური მუშაობის ერთიანობას. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაში, ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხების შემოქმედებით დაყენებასა და გადაჭრასთან მემკვიდრეობითობისა და წარსულის ჭეშმიდალეს შეხამებას.**

ჩვენ ეემიჯნებით ჩვენთვის ყოველივე უიცხოს, მაგრამ ეს, ხატოვნად რომ ეთქვათ, სულიადაც არ ნიშნავს, თითქოს შეწყვეტილიყოს ფროთა კავშირი. პირიქით — ნეგატურისაგან გამიჯნეს წარსულში არსებული ყოველივე პოზიტიური მემკვიდრეობითობის დაცვის საკვეთესო ბერხია. რადგან ჩვენ ყოველივე ნეგატიურისაგან ეაწმენდილი წარსული გვწამს.

ეგვიე შეიძლება ითქვას ხელმძღვანელი კადრებისადმი ჩვენს დამოკიდებულებაზე. ცენტრალური კომიტეტი ეკიდებოდა ობიექტურად ეაერკვევა, თუ სად არის **ბოროტების ფესვი,** და სად არის **შეცდომა,** ვინ გვიმალავდა **აშკარად ხელს** მუშაობაში, და ვის ეკავა **მომლოდინე პოზიცია:** აქაოდა, შეეხედავთ, დავინახავთ, რა მიმდგომ.

ყოველივე ამაში უნდა გავარკვიულიყავით — და ვავარკვიეთ კიდეც. უნდა მოვახსენოთ ყრილობას, რომ ხშირად ვაისმოდა ხმები საყოველთაო შეწყალების, „დიდსულოვნების“ და ა. შ. სასარგებლოდ. ცენტრალურ კომიტეტს რომ მხოლოდ ეს ხმები ეიო ყურად, წარსულის მემკვიდრეობასთან მხოლოდ ის დავალთნასვეშდა. რაც ჩვენ ახლა დავიმეთ. ეს ხალხის მოტყუება იქნებოდა.

იყვნენ, ზოგან კი ახლაც არიან ამხანაგები, რომლებსაც სხვა პოზიცია უჭირავთ. ისინი გვაკრიტიკებდნენ და გვაკრიტიკებენ იმისათვის, თითქოს არ ვახორციელებენ გადამჭრელ ღონისძიებებს, ვაყოვნებდეთ, ცოტას ვხსნიდეთ და ცოტას ვრიცხავდეთ სკკპ რიგებიდან, მეტი სიმკაცრე და დაუნდობლობაა საჭირო.

ამ ამხანაგების უმრავლესობას გული შესტკივა ჩვენი საქმისათვის, ხალხის საქმისათვის, ისინი ჩვენი იდეალების ერთგული არიან. მაგრამ მათ მაინც უნდა ეუთხრათ, რომ პოლიტიკაში, მეტადრე, როცა ადამიანის ბედი წყდება, ემოციები, გულისწყრომა ცუდი მრჩეველია.

საქართველოს კომპარტიის ისტორიიდან ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ამისა, თუ რა შედეგები სდევს პოლიტიკას, როცა დღენიადაგ ხმალმოღერებული ხარ დასაშინებლად.

უდავოდ სწორია გადაწყვეტილება, რომელსაც დღეს იწონებენ. მაგრამ ათასგზის უფრო სწორია ის, რომელსაც ოცაოდი წლის შემდეგ, მომავალმა მოიწონებენ. საკმარისი არ არის იცოდე, ვინ უნდა მოხსნა. უნდა იცოდე — ეს კი ყოველთვის უფრო ძნელია. — ვინ დანიშნო.

პოლიტიკაში ყოველთვის უკან კი არა, წინ უნდა იხედებოდე! ცენტრალური კომიტეტი მოახსენებს ყრილობას, რომ საანგარიშო პერიოდში მთელ ჩვენს ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ვახმარდით ჩვენს პარტიულ, კერძოდ ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაში, მთელ ჩვენს საქმიანობაში ლენინური საქმიანი სტილის დამკვიდრების დიად საქმეს, მასებთან კავშირის გაძლიერებას, ახლის გრძნობის სულისკვეთებით კადრების აღზრდას, შემოქმედებისა და ინიციატივიანობის ატმოსფეროს შექმნას.

ვფიქრობ, დელეგატები დაგვეთანხმებიან, თუ ვიტყვით, რომ პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის, ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმისათვის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის პროცესში ჩვენში ყალიბდება სწორედ ასეთი სტილი და ასეთი ატმოსფერო.

ჩვენ ვცდილობთ შეექმნათ მუშაობის ლენინური საქმიანი სტილი, შემოქმედებისა და ინიციატივიანობის ატმოსფერო. გავიგეთ, თუ რა ბოროტებასა ვიბრძოლეთ ამ ხელოვნებას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროსაგან.

ყრილობას აქვს სრული უფლება პარტიულ კომიტეტებს, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალურ კომიტეტს მოსთხოვოს, რომ თავლისჩინებით გაეუფრთხილდეთ იმ სამუშაო ატმოსფეროს, რომელიც თანდათან ღრმავდება და ძალდებულ ეს ატმოსფეროს ინტენსიურ მოვლენა, რომელიც ხელს შეგვიშლის ამ ატმოსფეროს სიბოლოო დამკვიდრებაში.

პირველი სენი მლიქვნელობა და მაამებლობაა. წარსულისა და აწყოს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს რომ ვაკრიტიკებთ, უნდა ვეძიოთ და ვპოულობდეთ გარანტიებს, რათა ისინი აღარასოდეს განმეორდეს. სწორედ ასეთი გარანტიაა კოლეგიურობის პრინციპი, რომელიც ეხმაბა ბერსონალურ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში. ჩვენ მკაცრად ვადევნებთ თვალს იმას, რომ ეს ლენინური პრინციპი არ ირღვეოდეს.

არის ცალკეული, უმნიშვნელო სიმპტომები, რომელთა თაობაზე რამდენიმე სიტყვა უნდა თქვას. ჩვენ გვაქვს წარმატებები. დარწმუნებული ვართ, ეს წარმატებები კიდევ უფრო მეტი იქნება მეათე ხუთწლეულში. ეს კარგია. ცუდია ის, რომ, რაიონებში. სამინისტროებში ვამჩნევთ, რომ ამ წარმატებებს ცალკეულ პიროვნებებს, პერსონებს მიაწერენ ხოლმე.

ჩვენ ხშირად გვესმის გამოთქმები: „მე ავაშენე“, „მე მივუთითე“, „მე მოვხსენი“, „მე წამოვაყენე“, „მე დავსაჯე“ და სხვ.

უბედურება კიდევ ისიც არის, რომ, როცა ამჩნევენ ცალკეული ხელმძღვანელების ასეთ მიდრეკილებასა და სისუსტეს — წარმოაჩინონ საკუთარი პერსონა, კადრები ირყვნება.

თავდაპირველად ამ „მე“-ს გარშემო იკრიბებიან მლიქვნელები, ასხვაფერებენ ზემოთ ფაქტებს და დაბეჯითებით გაიძახიან: „ეს თქვენ ააშენეთ!“, „თქვენ მიგვითითეთ!“ და სხვა და სხვა. მერე კი უკვე იწყება შეჯიბრება, ვინ უფრო უკეთ ატყვის ქებათა სიტყვას, ვინ უკეთ უმღერებს დიდებულებას ამა თუ იმ ხელმძღვანელს.

ბევრი რაიონისა და ქალაქის მაგალითით ვიცით, როგორ ირყვნებოდა და გარდაიქმნებოდა ზოგიერთი ამხანაგი მაამებლობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უარყოფის, სრულიად შეუნიღბავი მლიქვნელობის ატმოსფეროში.

მლიქვნელობა, გარკვეული აზრით, შეიძლება შეფადარდეთ ნარკოტიკებს. როგორც ცნობილია, ამ ნივთიერებებს შეუძლია ადამიანი გადაიყვანოს სასიამოვნო შეგრძნებების სამყაროში, გონება დაუბნელოს და აქციოს ცხოველის მსგავს არსებად. აი რა არის მლიქვნელობა! ამიტომ მტკიცედ და გარკვეულად ვამბობთ: ძირს მლიქვნელები და ძირს მლიქვნელობა!

ამხანაგებს შეუძლიათ სავსებით კანონზომიერად ეკითხონ: ნუთუ რაიონული ბელადობისადმი მისწრაფება ისე ძლიერია, რომ ცენტრალურ კომიტეტს, თუ იგი თავის ადგილზე დგას, არ შეუძლია ყრილობის ჩაურეველად აღკვეთოს ამგვარი მოვლენები? სამეი ის არის, რომ ზოგან, ცალკეულ კონფერენციებსა და კრებებზე ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მიმართ ვაისმოდა ერთგვარი ეპითეტები, რომლებიც, მეტი რომ აღარა ვთქვათ, გაუსაღარი და გულსაკენესია. ამის გამო უნდა ითქვას:

ჩვენ, ჩვენი დიადი ლენინური პარტიის ერთ-ერთი რაზმი ვართ. ჩვენ გვაქვს ერთიანი პარტია, ერთიანი წესდება, ერთიანი პროგრამა, ერთიანი დისციპლინა;

ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ვიარაღდებით ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დებულებებით და დასკვნებით;

მეორე მხრივ, ჩვენ იმის მოწმენნი ვართ, თუ რა დიდი დაინტერესებთ სწავლობს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი თვითეული თავისი რიგის გამოცდილებას, და ყოველივე საყურადღებო შეაქვს საერთო-პარტიულ ყულაბაში, საერთო-პარტიულ საგანძურში.

ამ ფონზე განა გვკვირდება რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური მასშტაბის ეგრეთწოდებული „ბელადები“? — არა, არ გვკვირდება! ჩვენა გვყავს ყველას მიერ აღიარებული ბელადი — სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მეორე სენი, რომელსაც ყველანი უნდა ვებრძოდეთ, არის ამბიცია, კუდაბზიკობა, ქედმაღლობა, ყოყოჩობა, კადრული საქციელი.

ეს სენი განსაკუთრებით საშიშია იმის გამო, რომ წარმოიშობა და ვრცელდება იქ. სადაც წყდება კადრების იდეური ზრდა და მკაცრი ორგანიზაციული წრთობა.

უპირველესად, ჩვენ, ხელმძღვანელებმა, უნდა შევიმუშაოთ, როგორც იტყვიან, მუდმივი იმუნიტეტი ამგვარი სენის წინააღმდეგ, გუჩვენოთ ლენინური თავმდაბლობის პირადი მაგალითი, საკუთარი სისუსტის გაბედული აღიარების მაგალითი.

უკანასკნელი წლების გამოცდილება ბევრ რამეს გვასწავლის, უწინარეს ყოვლისა კი იმას, თუ რა ძვირად ეჯდებათ ადამიანებს ხელმძღვანელის ყოყოჩობა, მუშაობის ლენინური სტილის მოთხოვნის — თავმდაბლობის უგულებელყოფა. ამხანაგებს, მათ შორის იმათ, ვისაც რესპუბლიკაში ყველაზე მეტად ენდობოდნენ, ხშირად ავიწყდებოდათ, რომ იყო ხელმძღვანელი — პრიალეგია ან არის. იყო ხელმძღვანელი — ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს ითმაღლა პასუხისმგებლობას ბერძოლა, გაკონტროლო შენი სურვილები. იყო ხელმძღვანელი — ნიშნავს მზად იყო მსხვერპლის გასაღებად, არ დაიშურო ძალა, ენერგია, ცოდნა, გამოცდილება. ნერვები და საკუთარი სიცოცხლეც კი, რათა ემსახურო ადამიანებს, ხალხს. ბედნიერია თუ არა ხელმძღვანელი? დიახ, იგი ბედნიერია, თუ თავის ბედნიერებას ეძიებს და პოულობს ადამიანების, სეკეთის სამსახურში.

აი რატომ ვამბობთ: ძირს ქედმაღლობა, ყოყოჩობა, მიღწეულით ტკბობა!

ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ლენინური თავმდაბლობის, პარტიული თავმდაბლობის პრინციპებით! — ასეთია ბოლოს მოთხოვნა.

თვითკონტროლი, თვითდისციპლინა, თვითაღზრდა! — ეს არის ჩვენი დევიზი.

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც ეკონომიკასა და კულტურას ხელმძღვანელობს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპს — პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ზუსტ გამიჯვნას.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ აქ ჯერ კიდევ უამრავი სამუშაოა. ჩვენი მუშაობის სტილი ჯერ კიდევ სრულყოფას მოითხოვს.

მუშაობის ჩვენი სტილის ყველაზე საშინელი ნაკლი, რომელიც ხელს გვიშლის დავინახოთ ადამიანი, ჩაეწყვდეთ მის ჭირსა და ლხინს. ვიგუგოთ და მხარი ამოვუდგეთ მას, — ეს არის ბიუროკრატიზმი.

სახელმწიფო მართვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს, ფორმალიზმისა და საქმის ვაკეთებლობის მრავალ ფაქტს მოჰყვა ის, რომ 1974 წელს ცენტრალურ კომიტეტში შეფოსული მშრომელთა 32 ათასზე მეტი წერილი და განცხადება შეიცავდა სახიფათს საბჭოების ალმასკომების მიმართ.

ბიუროკრატიზმი ახასიათებს ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასაც, რაც ანათუ აძნელებს ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც აყენებს საზოგადოებას. მოვიყვანთ ერთ მაგალითს.

მაგალითად, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახალხო სასამართლო და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო იქნეს წელიწადს მოუნდნენ ერთი მარტივი სამოქალაქო საქმის განხილვას, მისი გარჩევა 65-ჯერ გადადო.

როგორც ჩანს, საჭირო მივიღოთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სპეციალური დადგენილება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. უნდა შევიტანოთ პარტიული ორგანიზაციები ამ ბოროტებასთან ბრძოლის კონკრეტული პროგრამითა და კონკრეტული რეკომენდაციებით.

ერთ-ერთი არსებითი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, **გახდა რესპუბლიკაში უახლოეს წარსულში უფლების ჯარკვეული გაუფასურების ტენდენცია, რამაც ადამიანთა ერთ ნაწილში გამოიწვია ანტისოციალური შეხედულებანი, აზრები და საქციელი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად **მოუყარა თავი და წარმართა იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა უფლების სოციალური მნიშვნელობის აღდგენისათვის, საზოგადოებრივი უფლებიერთების სრულყოფისა და განმტკიცებაში მისი როლის და ქმედითობის ამაღლებისათვის.**

პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობის აქტივიზაციამ გაჯანსაღა და უფრო გაწმინდა ატმოსფერო რესპუბლიკაში პატიოსან მშრომელ კაცს **აღუდგა და გაუძლიერდა რესპუბლიკის. ჭეშმარიტ ბატონ-პატრონის გრძნობა, განუმტკიცდა პიროვნების უფლების, მისი ხელშეუვალობის გარანტია.**

მაგრამ არ ვაპირებთ თავი დავიმშვიდოთ, **რადგან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მაღალ საპროგრამო მოთხოვნებს.**

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და ადმინისტრაციული ორგანოები უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ კანონის სადარაჯოზე იდგნენ მაღალი პოლიტიკური, პროფესიული და ინტელექტუალური კულტურის ადამიანები. რომლებიც პასუხს აგებენ მინდობილი საქმისა და ადამიანთა ბედისათვის.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობდა **პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ლენინურ ფორმებსა და მეთოდებს. კონტროლს როგორც პარტორგანიზაციაში, ისე მთელი საზოგადოების მასშტაბით.**

საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი მიეძღვნა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ახალი, უფრო ეფექტიანი სისტემის შემუშავებას, ხოლო მეცხრე ხუთწლეულის უკანასკნელი წელი გამოცხადებული იყო კონტროლისა და შემოწმების სისტემის სრულყოფის წლად. ყოველივე ამას საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის კომპარტიის ცხოვრებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული კომიტეტების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო **სოციალისტურ საზოგადოებაში კონტროლის უმაღლესი ფორმის — პარტიული კონტროლის ფორმებისა და მეთოდების შემოგომი სრულყოფა.**

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს რესპუბლიკაში სახელმწიფო კონტროლის სისტემა.

ჭარკვეული დადებითი ძვრები დაისახა **რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის,** ადგილობრივი კომიტეტების მუშაობაში. მიუხედავად ამისა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი მათგან მოელის ყველა რვოლში საქმიანობის უფრო რადიკალურ გაუმჯობესებას, უფრო აქტიურ ჩარევას ცხოვრებაში ყოველივე იმის გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით, რაც გზას უღობავს ჩვენს წინსვლას!

პარტიის საქალაქო, რაიონულმა, საოლქო კომიტეტებმა, ცენტრალურმა კომიტეტმა ძირფესვიანად უნდა გაუმჯობესონ შესრულების კონტროლისა და შემოწმების საქმე.

უნდა გარდაიქმნას პარტიის რაიკომებთან, საქალაქო, საოლქო კომიტეტებთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი პარტიული კომისიების საქმიანობა.

პარტიული კომისიებს საგრძნობი წვლილი უნდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას

(დასასრული)

როგორც უკვე ითქვა, ჩვენ მნიშვნელოვანი და სასიხარულო მოვლენის მოწმენი ვართ: პარტიულობის, ლენინური პრინციპულობის, ინიციატივისა და შემოქმედების ატმოსფეროს ყოველმხრივი განვითარების პირობებში აღიზარდნენ და გაჩაღიურდნენ კადრები, კომუნისტები, რაიონული საკალაქო და საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელები. სერიოზულად ამაღლდა პარტიული მუშაობის დონე პირველად და საშუალო რგოლებში.

— ეს — ერთი მხრივ. მეორე მხრივ, გარკვეულ ძვრებს მივაღწიეთ რესპუბლიკური ორგანიზაციების საქმიანობაში.

ყრილობა მოსთხოვს მთავრობას, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სამინისტროებსა და უწყებებს მკვეთრად გააძლიერონ თავიანთი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ყრილობის დებულებები, ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებები უთუოდ კარგ ნაყოფს გამოიღებენ. ჩვენ ვიბრძოლებთ და მივაღწევთ კიდეც, რომ მკვეთრად გააქტიურდნენ მთავრობა, პრეზიდიუმი, პროფსაბჭო, კოოპერირის ცენტრალური კომიტეტი, ყველა საკანონმდებლო, სამმართველო და საოლქოლო ორგანო, საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

საყოველთაო და ყოვლისმომცველი აქტივიზაციის თანამედროვე ეტაპზე ცენტრალური კომიტეტი, მისი ბიუროო, სამდივნო, ცენტრალური კომიტეტის აპარატი. თვისებრივად ახალი ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ. ჩვენი დღევანდელი საქმიანობის დონე განვლილ ეტაპად უნდა ჩაეთვალოთ. ახლა ჩვენ ვამჩნევთ,რომ ყოველივე, რაც გუშინ ძალად თანამედროვედ გვეჩვენებოდა დღეს, გარკვეული აზრით, მოძველდა, გამოიყურება პრიმიტიულად, პრიმიტივი კი, როგორც ცნობილია ყოველგვარი შემოქმედების ანტიპოდია.

ამოცანის გადაწყვეტას — მივაღწიოთ ახალ სიმაღლეებს, დროისა და მომენტის შესაბამის სიმაღლეებს, ისიც უშლის ხელს, რომ ცენტრალური კომიტეტის, მისი აპარატის, ცენტრალური კომიტეტის მდივნების მუშაობაც არ არის მოკლებული სერიოზულ ნაკლოვანებებს. ყრილობის წინაშე, როგორც ეს კომუნისტებს შეეფერებათ, გულახდილად უნდა ვალიაროთ, რომ შეცდომები მოგვვიდა ცალკეული ამხანაგების შერჩევისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე მათი დანიშვნის საქმეში, ცენტრალური კომიტეტის მიღებული მთელი რიგი დადგენილებები ნაჩქარევი და ზერელე იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ოპერატიულად და დროულად არ ერკვეოდა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე. შექმნილ კითარებში, ზოგჯერ დაგვიანებით ერეოდა მოვლენებში, ყოველთვის დროულად არ იღებდა გადაწყვეტილებას ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან პრობლემაზე, რაც სერიოზულ ზიანს აყენებდა ამა თუ იმ დარგს, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ამა თუ იმ მიმართულებას. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანიც პასუხისმგებლობას ვერ ბრიხსნიან ყველაფერი ამის გამო.

დიახ, ამხანაგებო, ვალიარებთ ჩვენს შეცდომებსა და ხარვეზებს. სამწუხაროდ, ეს შეცდომები და ხარვეზები, იმაზე მეტი გვქონდა, ვიდრე აქ დავასახელეთ. ჩვენ მათ ვალიარებთ პირუთვნელად და გულწრფელად, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განვიცდით ამას.

ზშირად გვეუბნებიან: რა საჭიროა განცდები, შეცდომები ხდება ხოლმე! ვინ არ ცდება? ხომ კაცადგეს ცხობილი სენტენციაა: ზოგჯერ ბრძენიც შეცდებაო. კარგი ნათქვამია, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ავყვებით. ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ. არ ცდება ის, ვინც კარგად მუშაობს. და კარგად იუმაოს ის, ვინც კარგად მუშაობს, და პირობა ვაძლევთ ჩვენს ყრილობას ამ პოლიტიკური ფორმულის შესაბამისად ვიმეშაოთ.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა მუშაობაში, ცენტრალური კომიტეტის მთელი აპარატის საქმიანობაში.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რაოდენ რთული და მრავალფეროვანია პრობლემები, რომლებიც რესპუბლიკაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების გაფართოებასა და გაღრმავებას უკავშირდება, და ვფიქრობთ, რომ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში ახალი თვისებრივი ძვრები უნდა მოხდეს. ამისათვის თავის მხრივ საჭიროა, რომ ცენტრალური კომიტეტის აპარატს, ცენტრალური კომიტეტის აქტივს უფრო გაბედულად ემატებოდნენ ადამიანები მუშათა კოლექტივებიდან, საკოლმეურნეო სოფლებიდან, ინტელიგენციის სფეროდან ჩვენი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, ესენი უნდა იყონ ადამიანები, რომლებიც ცხოვრების შუაგულში ტრიალებენ, როგორც იტყვიან ხოლმე, მოწიფიავე ცხელს ბაზზე არიან, ესენი უნდა იყონ ადამიანები რომლებიც ცენტრალურ კომიტეტში მოიტანენ ახალ განწყობილებას, ახალ აზრებსა და იდეებს.

გამოცდილი ამხანაგებისა და ახალგაზრდობის ასეთი შეხამება, უთუოდ მოგვცემს ცენტრალური კომიტეტის მუშაობის იმ მოდელს, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება.

ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელსაც ყრილობა აირჩევს იმ ამხანაგების სახით, რომლებიც პარტიული და საბჭოთა მუშაობის, წარმოებისა და კულტურის ყველაზე გადამწყვეტ უბნებზე არიან, განუსაზღვრელ პერსპექტივებს დასახავს მთელი მუშაობის სრულყოფაში, იმის გარანტია გახდება, რომ ცენტრალური კომიტეტის ძალენუმების, აქტივების, ბიუროს მუშაობა კიდევ უფრო საინტერესო და უფრო შეშხიდველი იყოს ყველა კომუნისტისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდება მათი როლი რესპუბლიკის პარტიულ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობა უფრო მაღალსწარმოებული და გეგმაზომიერი გახდეს. მისი ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს გასაკუთრებით არსებითი, ძირითადი პრობლემები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის, მთელი სახალხო მეურნეობისათვის.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოში, მის ბიუროში კვლავაც უნდა განმტკიცდეს საკუთარი თავისა და კოლეგებისადმი მომთხოვნელობის, ადამიანური ზრუნვის, ურთიერთდახმარებისა და გულწრფელობის, ნაკლოვანებებისადმი შეუერიგებლობის ლენინური ატმოსფერო.

ერთი სიტყვით, ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ ყოველი ღონისძიებით სრულიაყოთ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, გაეხადოთ იგი კიდევ უფრო საინტერესო, ცოცხალი და შემოქმედებითი, კიდევ უფრო დემოკრატიული, გადავაქციოთ ცენტრალური კომიტეტი ნამდვილ ინტელექტუალურ ცენტრად, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მებრძოლ შტაბად.

ამხანაგებო!

ჩვენი ყრილობა მომდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს — სკკპ XXV ყრილობის ზღურბლზე, ყრილობისა, რომელიც ახალ ფურცელს ჩაწერს კომუნიზმის მშენებლობაში.

ჩვენი ყრილობა მთელი თავისი არსით, მთელი თავისი პათოსით მიმართულია მომავლისაკენ, რომლის ნათელი კონტურები და ჰორიზონტები ასე დიდებულად დაგვიხატეს ჩვენმა პარტიამ — ხალხის მესაჭემ და ჩვენმა ხალხმა — კომუნიზმის დიდმა ხუროთმოძღვარმა. ეს მომავალი იშობა და იგრძნობა დღევანდელი დღის კონკრეტულ საქმეებში, ჩვენს საქმეებსა და ჩვენს ფიქრებში.

ჩვენ ძალუძე ხუთწლედიდან გადავეფინთ მეათე ხუთწლედში — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში.

მეათე ხუთწლედი კიდევ უფრო ნაყოფიერი, შშვენიერი და ბედნიერი უნდა იყოს ხალხის ცხოვრებაში. ასეთია ისტორიის განვითარების ლოგიკა, ასეთია ცხოვრების მწყურვალებისაკენ, კომუნიზმის მწყურვალებისაკენ ხალხთა წინსვლის დიალექტიკის ახრი.

მაგრამ ჩვენი განვითარების მთავარი მიმართულებების, მეცნიერულად დასაბუთებული ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა — ეს მხოლოდ ჩვენ ხალხის საქმეა, ეს მხოლოდ **შესაძლებლობაა**, რომელიც შემოქმედებითი შრომით **სინამდვილედ** უნდა გადავაქციოთ.

მეათე ხუთწლედი ავტომატურად ვერ აკობებს და ვერც სილამაზით გადააჭარბებს მეცხრე ხუთწლედს. მხოლოდ იმიტომ, რომ ბაბ მოსდევს. იგი ჩვენ უნდა გადავაქციოთ საუკეთესო და სანაკვლო ხუთწლედად ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში. ასეთია ამოცანა!

ეჭვი არ არის, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდება!

ამის საწინდარია პარტიის სულ უფრო მზარდი როლი კომუნიზმის მშენებლობაში, ჩვენი ხალხის, ბუმბერაზი ხალხის, კომუნიზმის მშენებელი ხალხის, ჩვენი მუშათა კლასის, ყოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის რომანტიკით, აღშფოთებლობით, შემართებით და რევოლუციური შემოქმედებითა და პასუხისა ცხოვრება და შრომა.

როცა ჩვენს მიმდინარე და ხანგრძლივ გეგმებს ვადგენთ, მომავალ ყრილობამდე და უფრო შორეულ პერსპექტივებისათვის მუშაობს პროგრამას ვსახავთ. უნდა ვგრძნობდეთ უდიდეს პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე, ისტორიის წინაშე, ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე.

ჩვენ ხომ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას (რადგან ჩვენ ერთადერთი მმართველი პარტია ვართ) ხუთწლედებზე, აფეთქებებზე, ძალი თვალსაწიერი მომავლის მანძილზე ახალ-ახალი თაობების ცხოვრების შინაარსისა და აზრისათვის.

ჩვენ, კომუნისტები არ უნდა ვეცდებოდეთ. ჩვენ უნდა ვპოულობდეთ მომავლის ერთადერთ სწორ, მეცნიერულ, ოპტიმალურ გზებს. ეს ძნელია, მაგრამ ასეთია ჩვენი მისია. სხვა მისია არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს!

დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს მომავალში სწორედ ასეთი გზა, ერთადერთი შესაძლებელი, ყველაზე მეცნიერული, ყველაზე ოპტიმალური გზა მეათე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმაა, რომელიც ჩვენმა ბრძენმა დიდმა ლენინურმა პარტიამ დაგვისახა. **ჩვენი რესპუბლიკის მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია,** ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების დარგში ჩამორჩენის სამოლოო დაძლევის და მოწინავე პოზიციებზე რესპუბლიკის გასელის ხუთწლედია! ასეთია ამოცანა! და ეს ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ! კომუნისტების სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს.

დღეს, როცა ჩვენს გრანდიოზულ გეგმებზე ვფიქრობთ, საქართველოს ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი მზრუნავ მიაპყრობენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც მთელი პროგრესული კაცობრობის სიამაყესა და აღტაცებას იწვევს თავისი დიდი, ნამდვილად ლენინური ხელმძღვანელობით — ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ხელმძღვანელობისა და მსოფლიო მოვლენებზე გაკლენის მოხდენის ხელოვნებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატრონსნება და სინდისია!

ჩვენი ყრილობის მწყურვალებიდან ხვალინდელი საქართველოს დიდებული, მომბიბლავი პანორამა იშლება.

კომუნისტური მომავლის კიდევ უფრო საოცარ და შთამბეჭდავ პანორამას გადაგიშლის დიადი ლენინური პარტიის ისტორიული XXV ყრილობა.

ჩვენი მძლავრი სამშობლო, ჩვენი სახელოვანი პარტია მიუძღვნან ჩვენს ხალხს გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, კომუნიზმის ახალი მწვერვალებისაკენ.

ჩვენი ყრილობის თვითეულმა დელეგატმა, საქართველოს კომუნისტთა ფორუმის თვითეულმა მონაწილემ რევოლუციური პროგრამა ცეცხლის ნაწილიანი თან უნდა წაიღოს კომუნისტთა ის მგზნებარება, ის უმაგალითოენთუზიაზმი, რომელიც აღანთებდა ყოველ თქვენგანს, ვისაც ეწილად ხვდა დიდი პატივი ყოფილიყო საქართველოს კომუნისტების XXV ფორუმზე თავის თანამოაზრეთა — XX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს კომუნისტთა სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

წინ, ამხანაგებო, კომუნიზმის ახალი ჰორიზონტებისაკენ!

დაე ყოველმა ჩვენგანმა თავისი სანუკვარი ნაბიჯი გადადგას თავის შესაძლებლობათა ჰორიზონტს იქით, დაე ყოველმა ჩვენგანმა სრულყოს სამყარო, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი სრულყოფის საფუძველზე, აკობოს თავის თავს სწავლაში, ბრძოლასა და შრომაში, მიაღწიოს სულ ახალ და ახალ მწვერვალებს!

ასე სულ უფრო და უფრო ავამაღლებთ კომუნისტის წოდებას, კომუნისტის სახელს, კომუნისტის ღირსებას!

დიდება XX საუკუნის 70-იანი წლების კომუნისტებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის ლენინურ პოლიტბიუროს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საუზმე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში

22 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა ძოსკოვში შეერთებული შტატების საელჩოში საუზმე გაუმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრები ტ. ბ. გუდენკო, ბ. ვ. პეტროვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის ელჩი შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი და სხვა ოფიციალური პირნი.

ამერიკის მხრივ საუზმეზე იყვნენ შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში უ. სტასელი და პირნი, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ახლავან.

საუზმის დროს ჰ. კისინჯერმა და ა. ა. გრომიკომ მოკლე სიტყვები წარმოთქვეს. (საკდესი).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

გუშინ ჩვენს რესპუბლიკაში ყველგან მზიანი, მოწმენდილი ამინდი იყო. საგრძნობლად დათბა ქიდეც. 13 საათისათვის თბილისში, ზუგდიდში — 9 გრადუსი სითბო ალინიშნა, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, თელავში, სიღნაღში — 8, ბაგრატში, გალში, ცხაკაიაში, ქობულეთში, ბეგეჯკორში, სამტრედიაში, ტყიბულში, საგარეჯოში, გურჯაანში — 7, ლანჩხუთში, გარდაბანში — 6, თბილისში, თეთრწყაროში — 5, ბოლოსში — 4, მანგლისში — 3, მუხრანში, თიანეთში, ბოლნისში, ლენინგორში — 1 გრადუსი სითბო, ონში, დუშეთში, ბორჯომში — ნული გრადუსი, ბაკურიანში — 1 გრადუსი, ყინვა, ხაშურში, გორში, ფასანაურში, ბახმაროზე — 8, ახალქალაქში — 4, მესტიაში — 7 გრადუსი ყინვა.

მთაკერობის ᲮᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სსრ კავშირის ორდენები და მედლები, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმთა საპატიო სიგელები, საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები მეცხიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო მუშაკებს, პოლიგრაფიული მრეწველობის, ტურნალ „ეკონომისტისა“ და გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციების მუშაკებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ წაიკითხა ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა პ. გილაშვილმა დაჯილდოებულთ გადასცა შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისათვის“, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“, საქართველოს სსრ და ზემოხსენებული რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმთა საპატიო სიგელები, სიგელები კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი ი. ცერცვაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის უფროსი ოსტატი პ. დონაძე, ტურნალ „ეკონომისტის“ პასუხისმგებელი მდივანი ო. ბურდაა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

პ. გილაშვილმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ. მან გამოთქვა რწმენა, რომ მიღებული ჯილდოები მათთვის გახდება სტიმული სამშობლოს საკეთილდღეოდ ახალი შრომითი წარმატებების მიღწევისათვის. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ



22 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ

ᲑᲘᲠᲘᲨᲘ. (საკდესი). გუშინდელი დღის განმავლობაში შეტანილები ერთიანულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებულ რაზმებსა და მემარჯვენე პარტიების შეიარაღებულ ნაწილებს შორის გრძელდებოდა ბეირუთის ცენტრალურ რაიონებში, მის აღმოსავლეთ გარეუბნებში, ბეირუთ ქვეყნის სხვა რაიონებში ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა თავიანთ სრულ კონტროლს დაუქვემდებარეს ქალაქი დამური. ეროვნულ-პატრიოტული ძალები კონტროლს უწევენ ბეირუთიც ქალაქ შტორას, რომელიც ბეირუთ-დამასკოს გზატკეცილზე მდებარეობს.

ლიბანის საზოგადოებრივობის ყურადღება მიიპყრო მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციის განცხადებამ, რომელმიც ცინიკურად არის ნათქვამი, რომ „თუ საჭიროება მოითხოვს, ორგანიზაცია სამხედრო დახმარებისათვის მიმართავს ..ისრაელს“.

ამასთან დაკავშირებით გაზეთები შემფოთებით იუწყებიან ლიბანის საზღვარზე ისრაელის ჯარების აქტივიზაციის შესახებ.

მდგომარეობა ლიბანში და მისი ნორმალიზაციის გზები განიხილეს გუშინ შეხვედრებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ სირიის დელეგაცია პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჰადაგის მეთაურობით, ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენელნი.

დღეს ბეირუთის რადიომ გამოაცხადა, რომ ლიბანში ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიაღწია შეთანხმებას იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს სისხლისღვრას ქვეყანაში და უზრუნველყოფილ იქნას გაჭიანურებული კრიზისის პოლიტიკური გადაჭრა.

ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (ზაკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში გრძელდება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვა. მასში უკვე მიიღეს მონაწილეობა 37 ქვეყნის დელეგატებმა.

„მშვიდობას პალესტინის ჩვენს ნაწილში ვერ უზრუნველყოფთ, სანამ არ იქნება მიღწეული პალესტინის საკითხის სამართლიანი გადაჭრა, სანამ ისრაელი აგრესორად არ დატოვებენ მთ მიერ ოკუპირებულ ყველა არაბულ ტერიტორიას“ — ხაზგასმით აღნიშნა საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას ლიბიის წარმომადგენელმა მ. რ. კიკჰამ.

ვითარება ახლო აღმოსავლეთში სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, თქვა ალჟირის წარმომადგენელმა ა. რაჰალმა.

პოლონეთის წარმომადგენელმა გ. იარომეკმა აღნიშნა, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები გადაჭრით უჭერენ მხარს არაბ ხალხთა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადება ჟენევის სახავო კონფერენციის მუშაობის განახლების შესახებ იმედს გვაძლევს, რომ შეიძლება მივაღწიოთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველ პოლიტიკურ მოწესრიგებას.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲨᲔᲮᲑᲨᲘᲠᲝᲜ. ზეგ მოსკოვში ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლის სარბიელზე სტარტს აიღებს ფინალური ტურნირი მინი-ფეხბურთში გაზეთ „ნედელიას“ პრიზზე. როგორც ჯერ ცნობილი გახდა მასში საბჭოთა გუნდებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიის ორი გუნდი „ლოკომოტივი“ და „აკადემიკი“, პოლონეთიდან კი ასპარეზობაში ჩაებმება კრაკოვის „ვისლა“.

ᲮᲚᲝᲑᲣᲠᲘ. **მინსკის** ქვეჯგუფში დამთავრდა ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის, პირველი ტურის მატჩები. სტარტი დაუშარეცენდა განვლეს არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ხელბურთელებმა, რომლებმაც ბოლო მატჩში ანგარიშით 27-17. სძლიეს ადგილობრივ თანაკლუბელებს და პირველი წრის დასკვნითი ტურის წინ რვა ქულით სათავეში ჩაუდგნენ გათამაშებს.

ᲨᲠᲔᲜᲘᲨᲜᲘᲠᲝᲜ. ხარკოვსა და როსტოვში დაიწყო ვაჟ ფრენბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. სტარტზე წარმატებლობა განიცადა ქვეყნის ჩემპიონმა არმიის ცენტრალურ სპორტული კლუბის გუნდმა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში — 2:3 დათმო გამარჯვება ლენინგრადის „ავტომობილისტთან“, ვორშილოვგრადის „ზვეზდამ“ სძლია როსტოველ არმიელებს — 3:2, კი